# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ქურდობით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 აპრილი, 2011 წელი.

№73 (6684)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ან – სინათლისკენ, ან – უფსკრულისკენ!

რა სთხოვა აფხაზეთის მთავრობამ საერთაშორისო საზოგადოებას? ოკუპაციის გამო რამდენ მილიარდს კარგავს ქვეყანა ყოველწლიურად?!

3

## ხელისუფლება ოპოზიციაში თავისთვის სასურველ ძალებს ეძებს...

4

## მინსკის მეტრო მედვედევმაააფეთქა?

7

## ფიროსმანის „შავი ლომი“ მოსკოვში იპოვეს

3

მდიდრების და ღარიბების ქვეყანა

# კანონს ამოფარებული ყაჩაღები

## „მხილების მუზეუმი“ რუსთაველის გამზირიდან მთელ საქართველოს შემოივლის




პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს ეკუთვნის სასახლე კოჯორში, რომელიც სიმამრის სახელზე აქვს გაფორმებული. ძმები კუბლაშვილები ფლობენ ექვსსართულიან სახლს თბილისში, ბუკიას ბაღის უკანა მხარეს. გიორგი ბარამიძეს კოჯორში სახლის შესაძენად თანხა ბიუჯეტიდან გამოუყვეს. ძმები ბეჟუაშვილების საკუთრებაა დიდი სასახლე ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე №7, მათია ძალიან დიდი ვილა კოჯორში, რომელიც სასახლეების კომპლექსს წარმოადგენს. დიღომში მეორე შუშის გუმბათიანი სახლი შენდება მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსისთვის, აბრაზე კი აღნიშნულია, რომ სახლი „ჭიათურმანგანუმის“ ერთ-ერთ მეწილეს ეკუთვნის. იქვე, ახლოს, ვანო მერაბიშვილის სასახლე შენდება, რომელიც მას ბიძის სახელზე აქვს გაფორმებული. ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე, 42 ნომერში პეტრე ცისკარიშვილის სასახლეა, რომელიც, ვითომ ვიღაც ბიზნესმენმა აჩუქა. დავით კეზერაშვილს ეკუთვნის მშენებარე სასახლე თბილისის ზღვაზე, ცეზარ ჩოჩელის მფლობელობაშია სასახლე წყნეთში, რომელსაც ის არც უარყოფს, — ამ მონაცემების შესახებ გუშინ საჯაროდ ყვებოდნენ და ფოტოებს უჩვენებდნენ „მხილების მუზეუმში“, სახალხო კრების წარმომადგენლები. რუსთაველის მეტროს წინ მოეწყო გამოფენა, სადაც ასახული იყო, თუ რა ფეშენებელურად ცხოვრობენ სააკაშვილი და მისი ჩინოვნიკები; ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს პურის ფული ენატრება!

იხ. 2 გვ.



## უწმინდესის კიდევ ერთი საგალობელი აჟღერდება

პირველ მაისს ფილარმონიაში უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ახალი ნაწარმოების „sanctus“-ის პრემიერა შედგება. საქველმოქმედო გალა-კონცერტში მონაწილეობას ცნობილი ქართველი მომღერლები მიიღებენ.

როგორც კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ აღნიშნა, გალა-კონცერტი ფესტივალ „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში გაიმართება, რომელიც უწმინდესის ლოცვა-კურთხევით უკვე მეექვსედ ტარდება.

კათოლიკოს-პატრიარქის ფონდთან ერთად გალა-კონცერტის პარტნიორია აკაკი რამიშვილის ფონდი.

„sanctus“-ის (ლათინური სიტყვაა, რაც „წმინდას“ ნიშნავს, ქრისტიანულ ლიტურგიაში კი ჰიმნის დასახელებაა).

„sanctus“-ის საგალობელი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი — ესაა ისაია წინასწარმეტყველის წიგნიდან: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი“; ხოლო მეორე ნაწილი მათეს სახარებიდანაა: „წმიდა არს უფალი, საბაოთ“. საგალობელი ლათინურ ენაზე შესრულდება. „sanctus“-ის საგალობლის კომპოზიტორი თავად მისი უწმინდესობაა.

## ვიდრე ანგელოზები დაბრუნდებიან...



7

## რა ვქნათ, ეროვნული ბანკი ხომ არ გავაუქმოთ?



5

## ელენე ახვლედიანი – 110

11

ფერთა მესაიდუმლე



მდიდრების და ღარიბების ქვეყანა

# ესენი არიან ყაჩაღები — კანონის სახელს ამოფარებულნი

## „მხილების მუზეუმი“ რუსთაველის გამზირიდან მთელ საქართველოს შემოივლის

(პირველი გვერდიდან)



წვიმიანი ამინდის მიუხედავად გამვლელები ჩერდებოდნენ და დეტალურად ათვალიერებდნენ „ვარდების რევოლუციის“ მონაგარს — გამდიდრებულ ხელისუფლებას, სრასახლეებს, გაქცეული პრეზიდენტის ამსახველ კადრებს გორში, რუსული თვითმფრინავის გამოჩენისას, მაფიოზური კლანის პირამიდებს და ა. შ.

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ ყველაფერზე?** — ვეკითხები ერთ-ერთს.

— ძალიან ცუდი, გაოცებული ვარ.

**— აქამდე არ იცოდით?**

— არა, ასე დეტალურად ნამდვილად არ ვიცოდი.

**— მერე, რას აპირებთ?**

— დათვალიერებით საქმეს ვერ გავაკეთებთ, ალბათ, გამოვალ აქციებზე და დავუპირისპირდები ხელისუფლებას. ამის პატიება არ შეიძლება.

მოხუცი ქალბატონი ძალიან ახლოს მიდის პლაკატთან და კარგად ათვალიერებს.

— ეს ხომ პრეზიდენტის რეზიდენციაა, მე ის მაინტერესებს, მეორეს რომ იშენებს თურმე.

**— ის სურათი სხვა ბანერზეა, აი, იქით, მერაბიშვილის სასახლის პირდაპირ ყოფილა მისი სასახლეც.**

— ჰოო, დილომში არა? იქ ხშირად მიწევს გავლა, კარგი უბანია და ხედავ, ჭორი რომ მართალი ყოფილა?

**— რას ფიქრობთ, ქალბატონო, ამაზე?**

— ჩვეულებრივი ყაჩაღები არიან, კანონის სახელს ამოფარებულნი. ყაჩაღი მთავრობა არასოდეს გვაკლდა, მაგრამ ესენი ძალიან გადავიდნენ ზღვარს. ასე არ შეიძლება, არ შეიძლება!




„სახალხო კრების“ წარმომადგენლები ხალხს ესაუბრებიან. სხვა პარტიის აქტივისტები არ ჩანან, მაგრამ ესენიც კარგად ახერხებენ საზოგადოებასთან კომუნიკაციას და ხელისუფლების მხილებას.

**თემურ შაშიაშვილი:** „საააკაშვილი, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების დროს სურათებს აფრიალებდა, თუ როგორ ცხოვრობდნენ მაშინდელი ჩინოვნიკები, დღეს უარესს სჩადის, ხალხს ფულს პარავს, ჩვენს ქონებას ითვისებს და ამის გამო უხერხულად სრულიადაც არ გრძნობს თავს. მან მილიარდი დოლარი გამოუყო ბიუჯეტიდან მარტო ერთ დეპუტატს, არჩილ გეგენავას საკუთარი ფირმების დასაფინანსებლად. უნდა ხალხს ასეთ საქართველოში ცხოვრება? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ვისაც ნაციონალები მოსწონს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. ალბათ, ამ სურათების ნახვის შემდეგ საზოგადოებას ადეკვატური რეაქცია ექნება და ჩვენ ჩვენს სათქმელს ვიტყვით, როგორც კი ბრწყინვალე შვიდეული დამთავრდება. „ქართული პარტიის“ განცხადება „სახალხო კრებასთან“ შემოერთების შესახებ, ოპოზიციური გაერთიანების კარგი მაგალითი გახდება“.

**ნონა გაფრინდაშვილი:** „ამ სურათებიდან კარგად ჩანს, რომ ხელისუფლებას სძულს საკუთარი ქვეყანა და ხალხი. დარწმუნებული ვარ, ხალხში დაგროვილი პროტესტი მალე ამოხეთქავს. „სახალხო კრება“ სერიოზულად ემზადება 2 მაისისთვის, როცა დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ. გპირდებით, რომ სახლში დამარცხებული არავინ წავა. ჩვენ არ გვინდა არც ამბოხი, არც რევოლუცია, ხელისუფლებამ მშვიდობიანად უნდა დათმოს თავისი სავარძლები და წავიდეს. დიახ, ერთადერთი გამოსავალი მშვიდობიანი რევოლუციაა, თუ არადა ჩვენც და პოლიტიკოსებიც მზად ვართ დაჭერებისთვის, მაგრამ საბოლოო ჯამში გამარჯვება მაინც ქართველი ხალხის მხარეს უნდა დარჩეს. სხვა გზა ქვეყანას არა აქვს!

**რეზო ესაძე:** „თქვენ გგონიათ, რაც ახლა რუსთაველზე ხდება, ამ მძიმე მარხვის კვირას, მახარებს?! პირიქით, გული მტკივა. ეს ბიჭები ხომ ჩვენი შვილები არიან და ჩვენც ვართ რაღაცნაირად დამნაშავეები.

**— ბატონო რეზო, ეს ხომ ერთი ჩვეულებრივი ჩინოვნიკური სენია, რომელიც ყველა ქვეყნის ხელისუფალთ მეტ-ნაკლებად ახასიათებთ?**

— მხოლოდ ეს არა, მათ ქმედებაში და საქციელში „ანტიქრისტე“ ჩანს და მე არ ვიცი, რა გვეშველება.

**— საზოგადოებამ იცოდა და იცის კიდეც ჩინოვნიკთა სიმდიდრეების შესახებ, მაგრამ მისი „მოთმინების ფიალა“ მაინც აღუვსებელი რჩება. არ ფიქრობთ, რომ ჯერ კულმინაციის მომენტი არ დამდგარა?**

— ჩემი აზრით, პირიქით ხდება. მშვიდობიანი სამოქალაქო თავშეკავების ყველა რესურსი ამოწურულია. სამშობლო და სიცოცხლე ხელიდან გვეცლება და ერი ამ დროს დუმს? არ არის ეს ჩვეულებრივი დუმილი, ის გაცილებით ბევრის მომცველია. ეს აწრიალებული დუმილია — ერის შინაგანი გადაწყობისა და ახალი დროის პირმშო! კივილამდე მოთმენის დუმილი...



**„სახალხო კრებამ“ ხელისუფლებას ელიტურ კორუფციაში ბრალი სახალხოდ დასდო და ამის ილუსტრირებაც არ გასძნელებია, განსხვავებით იმ საპარლამენტო ოპოზიციისგან, რომელმაც ვერც ერთი მტკიცებულება ვერ დაუდო პრეზიდენტს, რომელმაც „ნიშნისმოგებით“ მოითხოვა მათგან კორუფციაში ჩაფლულ ჩინოვნიკთა მხილება.**

**რუსთაველის მეტროდან ხელისუფლების „ფუფუნების“ ამსახველი ფოტოები მთელ საქართველოს შემოივლიან და საზოგადოებისთვის თვალის ახელას შეეცდებიან, თუ, რა თქმა უნდა, ეს ხერხი ხალხს გამოაფხიზლებს...**

თეა მოსია

SIC!

# სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტების შეთავაზება უფრო პროპაგანდისტულია, ვიდრე რეალისტური



**რუსი ანალიტიკოსი ფეოდორ ლუკიანოვი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ე.წ. სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების შეთავაზებას „უფრო პროპაგანდისტულ, ვიდრე რეალისტურ“ იდეად მიიჩნევს.**

**„პასპორტებთან დაკავშირებული იდეა საკმაოდ საზრიანია და თუ საქართველოს ხელისუფლების პოზიციიდან ვიმსჯელებთ, სწორიც, რადგან შექმნილ ვითარებაში რაღაცის გაკეთებაა საჭირო“ — თვლის ლუკიანოვი, თუმცა აქვე დასძენს, რომ ამ იდეის რეალიზაციაზე ქართულ მხარეს ადრე — შეუქცევადი ან თითქმის შეუქცევადი პროცესების განვითარებამდე უნდა ეზრუნა.**

„სიტუაცია, რომელშიც სადღეისოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები იმყოფებიან, ძალიან რთულია. მათ ევროკავშირის ქვეყნებში რუსული პასპორტებითაც კი არ უშვებენ. ამდენად მათთვის რაღაც ალტერნატივების შეთავაზებაა საჭირო. სხვა საკითხია, რომ ეს ბევრად ადრე უნდა გაკეთებულიყო — მანამდე, სანამ გამოუსწორებელი ან თითქმის გამოუსწორებელი მოხდებოდა. ახლა უკვე პოლიტიკური სიტუაცია თითქმის სრულად არის დალაგებული და ამ ფონზე მსგავსი ინიციატივები უფრო პროპაგანდისტულია, ვიდრე რეალისტური“— განმარტავს ექსპერტი.

რაც შეეხება ოკუპირებული დე ფაქტო რესპუბლიკების სტატუსს, ლუკიანოვის აზრით, „ამჟამად საქართველოს როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია თანხმდებიან მოსაზრებაში, რომ ახლო მომავალში შექმნილი ვითარების რაიმე ხელშესახები ცვლილების მოლოდინი არ ღირს, თუმცა მეორე მხრივ, არც იმის პერსპექტივა იკვეთება, რომ რომელიმე პოლიტიკოსმა ამ რესპუბლიკების სტატუსის დაკანონების საკითხი დააყენოს — ეს დღეს უბრალოდ შეუძლებელია“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ე.წ. სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები მიმდინარე წლის II ნახევარში მზად იქნება. ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის შექმნის მთავარ მიზანს ერთის მხრივ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების რუსული პასპორტიზაციის ორბიტიდან გაყვანა და მეორეს მხრივ, მათთვის ქვეყნის გარეთ მოგზაურობის შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენს.

„ჩვენს მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ, რუსეთის მიერ არალეგიტიმურად გაცემული რუსული პასპორტების ნაცვლად, ნებაყოფლობით მიიღონ სამართლებრივი დოკუმენტი. იმისთვის, რომ დოკუმენტის მისაღებად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა მაქსიმალური მოზიდვა უზრუნველვყოთ, დოკუმენტს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა არ ექნება და იგი მოქალაქეობის დამადასტურებელი არ იქნება. დოკუმენტს დაამზადებს იგივე კომპანია, რომელიც საქართველოს პასპორტებს ამზადებს და იგი რეესტრის მიერ პიროვნების იდენტიფიკაციის შემდეგ გაიცემა, მაგრამ არ იქნება ბიომეტრიული“ — განმარტა ტყეშელაშვილმა.



მისივე განცხადებით, ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურ სახელმწიფოებთან, რადგან მიმღებ სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით, სრული ნდობა უნდა ჰქონდეს.

სახელმწიფო მინისტრი აღნიშნავს, რომ დოკუმენტი შესაძლოა, არ იყოს მასობრივი გამოყენების, თუმცა „ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იგი მოქალაქეებისთვის მიმზიდველი გახდეს“.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამ დოკუმენტის მფლობელ ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ, სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მისაღებად დაფინანსება საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან და სხვა პროგრამებიდან მიიღონ“.

სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილებას გამოიწვევს.

„პირველი“

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

დიდი ტკივილი

# ან - სინათლისკენ, ან - უფსკრულისკენ!

**აფხაზეთი საქართველოს ტკივილია, — თითქოს მივეჩვიეთ ამ სიტყვების უემოციოდ გამოთქმას და მნიშვნელობაც გაფერმკრთალდა, მაგრამ ამით არაფერი იცვლება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტს კარგავს არა მხოლოდ ადამიანური და სულიერი მდგომარეობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც.**

ყველას კარგად ახსოვს, რომ აფხაზეთი ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონი იყო მრეწველობით, სოფლის მეურნეობის თუ ტურიზმის კუთხით. ამდენად, მას უმნიშვნელოვანესი პოტენციალი ჰქონდა საქართველოს გასავითარებლად. წლები გადიან და ამასობაში ქვეყნის ბიუჯეტი ერთ-ერთ უმდიდრეს კაპიტალს კარგავს. სწორედ ამ მატერიალურ და, შეიძლება ითქვას, ობიექტურ ინტერესებზე ისაუბრა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ **გიორგი ბარამიამ** სპეციალურად დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის გამართულ მიღებაზე. **„ოკუპირებული აფხაზეთი, საქართველო: წარსული და არსებული მდგომარეობა“** — ასე ერქვა პრეზენტაციას, რომელმაც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი მოიცვა და საკმაოდ წარმატებულიც იყო იმ უმოქმედობისა და პასიურობის ფონზე, რასაც აფხაზეთის კანონიერი მთავრობისა და უზენაესი საბჭოს მემკვიდრეები იჩენენ ხოლმე (ამას თავადაც არ უარყოფენ და ხანდახან ამაში სწორედ საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებენ, თუნდაც მწირი ბიუჯეტისა და მათი უფუნქციოდ დატოვების გამო).

გიორგი ბარამიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი დიდ როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში. მისი საერთო ფართობი 8700 კვ.კმ-ია, ხოლო სანაპირო ზოლი 185 კმ. შეადგენს.

მე- 19 საუკუნიდან რუსეთის იმპერიული ზრახვები აშკარად თვალსაჩინო გახდა და მათი მოქმედებები დღევანდელი ჩინოვნიკების საქციელის იდენტური იყო. 1864 წელს აფხაზეთში რუსეთის მმართველობა დამყარდა, რომელსაც არაერთი სახალხო აჯანყება მოჰყვა. აფხაზებს მწარედ ახსოვთ „მუჰაჯირობა“, როცა ათასობით ეთნიკური აფხაზი თურქეთში გადაასახლეს, ხოლო მათ მიწა-წყალს რუსები დაეპატრონენ. აფხაზეთის რუსიფიკაციის პროცესი კომუნისტური რეჟიმის დროსაც გაგრძელდა, ხოლო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღვივება 90-იანი წლებიდან, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო, რასაც მოჰყვა კიდეც ძმათა ომი. 1994-2008 წლებში აგრესიული სეპარატიზმი თითქოს გაიყინა. თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რითაც აშკარად წარმოაჩინა, რომ ის იყო და არის კონფლიქტის მხარე.

1980 წლის აღწერის საფუძველზე აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, თუმცა დღეს მხოლოდ ქართველთა 10 პროცენტია, ისიც გალში.

**ექსპერტთა გაანგარიშებით ოკუპაციის შემდეგ 1992-98 წლებში საქართველოს ბიუჯეტს 5 მილიარდი დოლარის ზარალი მიადგა, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენ მილიარდს კარგავს ქვეყანა ყოველწლიურად.**

**რუსეთი ღიად აგრძელებს მილიტარიზაციის პროცესს, მარტო გალში 6 სამხედრო ბაზა შენდება. საოკუპაციო ჯარები ზღუდავენ ადამიანთა გადაადგილებას, ხდება იძულებითი პასპორტიზაცია, იკრძალება ქართულ ენაზე სწავლება, გახშირდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ქონების ხელყოფა. დაახლოებით 200-მდე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არის აფხაზეთში. რუსები უნებართვოდ უკეთებენ რესტავრაციას, შლიან ქართულ წარწერებს, ფასადებს, ამის კარგი მაგალითია ილორის უნიკალური ტაძრის რესტავრაცია.**

** რა სთხოვა აფხაზეთის მთავრობამ საერთაშორისო საზოგადოებას? ოკუპაციის გამო რამდენ მილიარდს კარგავს ქვეყანა ყოველწლიურად?!**




**აბსოლუტურად უკანონოდ ხდება ბუნებრივი წიაღისეულის, ინერტული მასალების მოპოვება. რუსული კომპანიები ველური გზით ახორციელებენ მათ მოპოვება-გატანას, რაც ხელს უწყობს ნიადაგის დაჭაობებას და საფრთხეს უქმნის ეკოლოგიას, კომპანია „გოსტნეფტის“ თაოსნობით მიმდინარეობს ხე-ტყის უკანონო გატანა და უნიკალური ჯიშის ხეების განადგურება. ბარამიამ ასევე ყურადღება გაამახვილა ლაბორატორიებზე, სადაც ხდება ბირთვული ნივთიერებების უკონტროლოდ გამოყენება.**

ის, რაზეც საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში ჯერჯერობით ხელი მიუწვდება, ეს არის ჯანდაცვა და განათლება, რომელიც კატასტროფულ მდგომარეობაშია. მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, აფხაზი მედიკოსები ვერ უმკლავდებიან დაავადებებს, ამიტომ ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი აფხაზეთიდან გადმოსული პირი მიმართავს საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს. მარტო 170 შიდსით დაავადებული იმყოფება ჩვენთან აღრიცხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ სხვა დაავადებათა მკურნალობაზე თუ გადაუდებელ და გეგმიურ ოპერაციებზე. რამდენიმე გალელმა მედპერსონალმა ტრენინგები ლუდუშაურის კლინიკაში გაიარა, ასევე ხუთი სამედიცინო მობილური მანქანა გაიგზავნა გალის რაიონში, თუმცა ამით გაღიზიანებულმა სერგეი ბაღაფშმა საზღვრის კიდევ უფრო გაძლიერებული კონტროლი მოითხოვა. ამის მიუხედავად 2009 წელს 10-მა აფხაზურმა ოჯახმა დატოვა რეგიონი და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. 700-მდე აფხაზეთში მცხოვრებმა ეთნიკურმა აფხაზმა ჩუმად, მაგრამ მაინც აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა.

გიორგი ბარამიამ დიდხანს ისაუბრა სახალხო დიპლომატიის აუცილებლობაზე და იმ ნაბიჯებზე, რაც ამ კუთხით უკვე გადაიდგა. უმთავრესია კომუნიკაციის აღდგენა, რასაც რუსეთი აქტიურად ბლოკავს. 2009 წელს დაფუძნდა „აფხაზეთობა“, რაც ხელს შეუწყობს შერიგების პროცესს. მაგალითად, აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა ჩამოაყალიბეს „უხუცესთა საბჭო“, და ისინიც უნდა ჩაერთონ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის პროცესში. თანდათანობით, როცა რუსეთის მილიტარისტულმა პოლიტიკამ ნათელი გახადა რა იმპერიულ ზრახვებს ემსახურება მისი გაპიარებული „მეგობრობა“ როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის სიტუაცია საგანგაშო გახდა. აფხაზეთის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი ხვდება, რომ რუსების „გაწვდილი ხელი“ მათი იდენტობის დაკარგვის უმთავრესი მტერია. პრეზენტაციაზე კიდევ ერთხელ გახმიანდა აფხაზეთის ფართო ავტონომიასთან დაკავშირებული სტატუსი, რომელიც წლების წინათ შესთავაზეს აფხაზებს, თუმცა მაშინ ამ პროექტზე უარი ითქვა. ეთნიკური აფხაზები დაინიშნებოდნენ საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, ექნებოდათ ვეტოს გამოყენების უფლება და ა. შ. და ეს ყველაფერი განმტკიცებული იქნებოდა კონსტიტუციით.

**გიორგი ბარამიამ დიპლომატიურ კორპუსს აუხსნა, რომ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გააქტიურების ფონზე, კიდევ აქვთ შანსი აფხაზებსა და ქართველებს ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისა. „ევროპა მზად არის, ქართველებსა და აფხაზებს შორის პირდაპირ დიალოგს შეუწყოს ხელი. პირველი გზა აქეთკენ ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევაა, რადგან ამის მიღწევა რთულია რუსეთის გაძლიერებული კონტროლის გამო. თუმცა თუკი ადამიანები ერთმანეთისკენ მიილტვიან, მათ ვერც ერთი საოკუპაციო ძალა ვერ შეაჩერებს! ამიტომ ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესში აუცილებელია უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნა, გაეროს ფარგლებში ახალი სისტემის შესახებ ხელშეკრულების მიღება და სწორედ ამისთვის გვჭირდება თქვენი ქმედითი მხარდაჭერა. აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც ერთნაირად გასაგებია, ან სინათლისკენ — ევროპისკენ, ან უფსკრულისკენ — რუსეთისკენ!“ — აღნიშნა მან.**

თეა მოსია

ინფორმაცია

## ტრამპის განცხადებას ობამას ნახევარდა გამოეხმაურა

**ბარაკ ობამას ნახევარდა მაია სოეტორომ მილიარდერ დონალდ ტრამპის მოთხოვნას, რომელიც ობამას დაბადების მოწმობის ორიგინალს მოითხოვდა, სამარცხვინოს უწოდებს.**



**— ეს სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმაა, — აღნიშნა „სი-ენ-ენ“-თან ინტერვიუში მაია სოეტორომ მილიარდერის მოთხოვნის საპასუხოდ.**

**ცნობისთვის, დონალდ ტრამპმა, რომელიც 2012 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ მონაწილეობას არ გამორიცხავს, ბარაკ ობამას აშშ-ში დაბადების საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. უკანასკნელი დღეების მანძილზე ტრამპი ყოველდღიურად აძლევს ინტერვიუებს ამერიკულ ტელეარხებს, სადაც ღიად აცხადებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი რეალურ დაბადების ადგილსამყოფელს მალავს.**

**ჰავაის შტატმა ადრე არაერთგზის დაადასტურა, რომ ბარაკ ობამა სწორედ ამ შტატში დაიბადა. თუმცა უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, რესპუბლიკელთა ნახევარი დარწმუნებული არაა, რომ ობამა აშშ-ში არ დაბადებულა. ეს კი მის პრეზიდენტად არჩევის საკითხს კითხვის ქვეშ აყენებს.**

**— ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ობამას დაბადების საკითხთან დაკავშირებით ვარაუდებს ბოლო უნდა მოეღოს, — აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტის ნახევარდამ.**

## რადიაციული პროდუქტი ჩვენთან ვერ შემოვა

**ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განუცხადა და აქვე განმარტა, რომ აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს.**

**— საქართველოს იაპონიასთან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს და თუ რადიაციული ნაწარმის საქართველოში მოხვედრასთან დაკავშირებით რაიმე საფრთხე გაჩნდება, ჩვენ მასზე მყისიერი რეაქცია გვექნება და შესაბამის ზომებს მივიღებთ, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე საფრთხის თაობაზე ინფორმაციას არ ვფლობთ, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.**

## ფიროსმანის „შავი ლომი“ მოსკოვში იპოვეს

**მოსკოვის მხატვრის საგამოფენო დარბაზში 1990-იან წლებში საქართველოდან გატაცებული ნიკო ფიროსმანის ტილო „შავი ლომი“ აღმოჩნდა.**



**შედევრი სამხატვრო აკადემიის ყოფილი რექტორის აპოლონ ქუთათელაძის საკუთრება გახლდათ და მისი ვაჟის ყარამან ქუთათელაძის სახელოსნოში ინახებოდა.**

**ქუთათელაძეების ოჯახის თქმით, ტილო მათ ყაჩაღური გზით წაართვეს. 21 წლის შემდეგ კი „შავი ლომი“ რუსეთში გამოიფინა.**

**ნამუშევრის რუსეთში მოხვედრის შესახებ ვერსიები საკმაოდ ბევრია. ქართველი სპეციალისტები ეჭვობენ, რომ 90-იან წლებში მოპარული ტილო საზღვარზე გაიტანეს და რუსეთში კერძო კოლექციონერს მიყიდეს. ამის შემდეგ კი ნამუშევარმა დღის სინათლე მოსკოვის საგამოფენო ცენტრში გამოფენისას ნახა.**

**სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ეს ნამუშევარი ორიგინალი არ იყოს და მოსკოვში მისი ასლი ინახებოდეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

# ხელისუფლება ოპოზიციაში თავისთვის სასურველ ძალებს ეძებს...

***გვესაუბრება საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი თორნიკე შარაშენიძე.***



**— ბატონო თორნიკე, როგორ შეაფასებდით ნატო-საქართველოს კომისიის ბერლინის სხდომის შედეგებს?**

— კარგია, რომ საქართველო ნატოსთან აქტიურად თანამშრომლობს და ეს თანამშრომლობა ყოველწლიურად ღრმავდება, ნატო მიესალმება ჩვენთან სამხედრო რეფორმის ჩატარებას, მადლობებს გვიხდიან ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობისთვის და სულ აქტიურად განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს როლის გაზრდა. ყოველ შემთხვევაში, ნატოში რომ ასეთი საკითხები განიხილება, მხოლოდ მისასალმებელია. პოლიტიკური მიზეზების გამო საქართველო ნატოში ჯერ ვერ შევა, მაგრამ ის, რომ ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობა კარგი სიგნალია ჩვენი მტრებისთვის, რომ თავი დაგვანებონ, უდავოა.

**— ისრაელის წარმომადგენლების სოხუმში სტუმრობამ ქართულ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მართალია, ისრაელიდან აფხაზეთში ჩასული პერსონები ბიზნესმენები და კერძო პირები არიან, მაგრამ ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ყველამ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებასა და გასამართლებას ეს ფაქტი დაუკავშირა. რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს ებრაელი ბიზნესმენების ვიზიტი საქართველოში ებრაელი ბიზნესმენების გასამართლებას?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ებრაელი ბიზნესმენების აფხაზეთში ჩასვლა ისრაელის მოქალაქეთა დემონსტრაციული ჟესტი იყოს. თუმცა, ვნახოთ, ამას რა რეალური ნაბიჯები მოჰყვება. არა მგონია, აფხაზეთში ინვესტიციების ჩადება ვინმესთვის მომგებიანი იყოს, მით უმეტეს ებრაელების მსგავსი პრაგმატული ადამიანებისთვის. ამიტომ, დაველოდოთ, რეალურად რა მოჰყვება ებრაელ ბიზნესმენთა აფხაზეთში ვიზიტს.

**— იმედია, ებრაელ ბიზნესმენებთან დაკავშირებით ოპტიმალური გამოსავალი მოიძებნება. გასაგებია, რომ საქართველო თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ისრაელმა საქართველოს, რუსული მხარის ზეწოლით, უპილოტო თვითმფრინავების მიწოდება შეუწყვიტა. ებრაულმა მხარემ რუსეთისთვის უპილოტო თვითმფრინავების მიწოდებაზე კონტრაქტები ისე გააფორმა, რომ თელ-ავივში საქართველოსთან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა არავის გახსენებია...**

— რუსეთს ისრაელზე ზეწოლის საშუალება ყოველთვის ჰქონდა და, ეტყობა, იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც თქვენ ახსენეთ, ეს ბერკეტები სრულად იქნა გამოყენებული. რუსეთს შეუძლია, შეაიარაღოს ისრაელის არაკეთილმოსურნე ქვეყნები, იგივე ისეთი პალესტინური ორგანიზაციები, როგორებიც არის „ჰამასი“ და „ჰესბოლა“, ასევე, ისრაელისადმი მტრულად განწყობილი სირია. როგორც ჩანს, კომპენსაციის სახით რუსეთმა თავად შეისყიდა ისრაელისგან სხვადასხვა ტიპის შეიარაღება და მათ ერთმანეთთან კარგი და საქმიანი ურთიერთობები დაამყარეს. შესაძლოა, ჩვენ არ მოგვწონდეს, როგორ იქცევა ისრაელი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელი რთულ სამეზობლოში იმყოფება და რუსეთს აქვს ისრაელზე ზეწოლის ბერკეტები, ჩანს, მოსკოვმა ისრაელთან მიმართებაში მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი სრულად გამოიყენა.

**— ცნობილი გახდა, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის მაისში დაგეგმილი მეორე სამიტი შემოდგომისთვის გადაიდო. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, შესაძლოა, პროგრამა პროგრამადვე დარჩეს. არაბულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების გამო ევროპა ჩვენთვის ვერ იცლის, ევროპას რუსეთის გაღიზიანება არ სურს, თუ თანამედროვე მსოფლიოში იმგვარი შეუქცევადი ტურბულენტური პროცესები დაიწყო, რომელთა ახსნა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ჭირს?**

— მე მაინც იმ აზრისკენ ვიხრები, რომ არაბულ სამყაროში დაწყებული პროცესები არაფერ შუაშია, რადგანაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა ევროპელების მხრიდან დიდ ძალისხმევას არ საჭიროებდა. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა არ იყო იმდენად სერიოზული რამ, რომ შესაძლებელი იყოს თქმა — ევროპამ ჩვენთვის არაბულ ქვეყნებში დაწყებული პროცესების გამო ვერ მოიცალა.

მე მაინც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის გადადება ჩვეულებრივი რამ მგონია. სამწუხაროდ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამამ ვერ გააკეთა იმდენი, როგორადაც იყო ჩაფიქრებული. არადა, საუბარი იყო ვიზების გამარტივებაზე, მაგრამ ჩვენ ამ საკითხში რეალურ გარღვევას ვერ ვხედავთ. ფაქტია, რომ ევროკავშირი „აღმოსავლეთ პარტნიოროზის“ ფარგლებში დუნედ მუშაობს. ასე რომ, ამ პროგრამის სამიტი მაისში შედგება, თუ სექტემბერში, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

**— მედვედევისა და პუტინის მიერ განსხვავებულ აზრთა გამოთქმა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყველა ელოდება, ამ ტანდემიდან 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ვინ მიიღებს მონაწილეობას. მიიჩნევა, რომ საქართველოსთვის აზრი არა აქვს, ტანდემიდან ვინ გახდება კრემლის ერთპიროვნული მმართველი. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი კარგია და მეორე ცუდი, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ შორის განსხვავებას აზრი მაინც აქვს. როგორც ჩანს, მედვედევი და პუტინი ვერ თანხმდებიან რუსეთის მომავალზე. მედვედევი უფრო მოდერნიზაციისა და რუსეთის დასავლეთთან დაახლოებისკენ იხრება, ამიტომ ჩვენ საბოლოო ჯამში მაინც მედვედევის ხელმეორედ გაპრეზიდენტება გვაწყობს. სულ მცირე შანსი თუ არის იმის, რომ მედვედევი რუსეთს დასავლეთთან დაახლოებისკენ წაიყვანს და რუსეთი ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, ასეთ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, მედვედევის გაპრეზიდენტება გვირჩევნია.

რასაკვირველია, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მედვედევი დღეს თუ ხვალ გაიყვანს საქართველოდან რუსულ ჯარებს, მაგრამ როდესაც რუსეთი დასავლეთს დაუახლოვდება, ოდესღაც ესეც მოხდება, ამაში დარწმუნებული ვარ. რუსეთის დასავლეთთან დაახლოება იმ პირობებშია შესაძლებელი, თუ პრეზიდენტი კვლავ მედვედევი იქნება და არა პუტინი, რომელმაც დასავლეთთან ომი არაერთხელ წამოიწყო.

**— საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისთვის მიმდინარე კონსულტაციებში მონაწილე ოპოზიციის ლიდერები ღიად აცხადებენ, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. თქვენი აზრით, არჩევნებთან დაკავშირებით გადადგამს თუ არა ხელისუფლება კომპრომისულ ნაბიჯს და რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციის იმედები, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ხელისუფლებას კომპრომისული ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებს? კითხვა, შესაძლოა, ასედაც დაისვას — ოპოზიციაში პასუხიმგებლობის მქონე პოლიტიკური სპექტრი გამოიკვეთა, იმავეს მოლოდინი შეიძლება გვქონდეს თუ არა სახელისუფლო გუნდთან მიმართებაში?**

— ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას არ უნდა, იოლად დათმოს ბევრი რამ, მაგრამ ჩემი აზრით, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ასე მოიქცეოდა. ოპოზიციას მართებს, სწორედ ასე შეხედოს არსებულ ვითარებას, ვინაიდან ეს სრულიად ლოგიკურია. იმაზე საუბარს, რომ დასავლეთი ჩაერევა და აიძულებს ხელისუფლებას დათმობებზე წასვლას, მგონი, აზრი არა აქვს.

ჩემი აზრით, მოლაპარაკება სხვა გზით უნდა წარიმართოს. მე მაინც მგონია, რომ ამ დიალოგში ხელისუფლება და ოპოზიცია კომპრომისს მაინც მიაღწევენ. ოპოზიციასა და ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც ხვდებიან, რომ ჯანსაღ ძალებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია. ასეთი ძალები კი არსებობენ. კომპრომისი მიღწევადია თუნდაც იმიტომაც, რომ ეს ორივე მხარეს სჭირდება. მაგრამ, ისევ გავიმეორებ უკვე ნათქვამს — ხელისუფლება თავისი პოზიციების იოლად დამთმობი თუნდაც იმის გამო არ არის, რომ თავისთვის მომგებიანი პოზიციები ოდესღაც ბრძოლით მოიპოვა.

ჩემი აზრით, თუ რას დათმობს ხელისუფლება, ოპოზიციაზეა დამოკიდებული. თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ ოპოზიციას ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისკენ წაყვანა სურს, საბოლოო ჯამში, დათმობებზე წავა. ხელისუფლებაში არიან ჯანსაღი ძალები, მათ სურთ ოპოზიციაში დაინახონ ისეთი ძალები, რომელთა თვითმიზანი არ არის, როგორც გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლა, ისე ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლა. ხელისუფლებას ისეთი ოპოზიციის დანახვა სურს, რომელიც ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების, მმართველი გუნდის ნელ-ნელა ჩანაცვლების და ოდესღაც კოალიციური მთავრობის შექმნის მომხრე იქნება. ჩემი აზრით, ხელისუფლება აცნობიერებს, რომ ეს ადრე თუ გვიან მოხდება და ოპოზიციაში ისეთ ძალებს ეძებს, ვინც თანახმა იქნება, რომ ქვეყანაში ცვლილებები ნელ-ნელა მოხდეს, მაგრამ იმავდროულად ქვეყანაში გაგრძელდეს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარება.

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი“**

მოულოდნელი რაკურსით

# შტერაქტების ხელისუფლება

**აბრევიატურების ტრფიალს რომ იტყვიან, მე სწორედ ისა ვარ: საბჭოური ხანიდან შემორჩენილი და შემოჩენილი „გე-პე-ის“ მაგიერ (რაც ქართულად მაშინაც არ იყო სწორი) ვამბობ „სტუ“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); ახალი დროის „სპეცნაზი“ და „სპეცნაზელები“ (რუსულიდან გადმოსული) შევცვალე (ჩემთვის, რა თქმა უნდა, თორემ მე ყურს ვინ მათხოვებს) „სპეცდანითა“ და „სპეცდანელებით“ (სპეციალური დანიშნულების რაზმი და რაზმელები) და სხვა.**

სწორედ ერთ-ერთ სხვად გთავაზობთ (ეგებ ახლა მაინც მომაყურადონძ **„შტერაქტს“**. ეს გახლავთ „შტერული აქტი“-დან ნაწარმოები აბრევიატურა. „აქტი“, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მნიშვნელობით არის ქმედება, საქციელი და ფართოდ ცნობილი შემოკლება. „ტერაქტი“ ნიშნავს ტერორისტულ ქმედებას, ტერორისტულ საქციელს. მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანაა ტერაქტებით სახელგანთქმული (ავღანეთი, ერაყი, პაკისტანი...ძ; საქართველო, თუ ორიოდე „ჩაწყობილ“ ტერაქტს გამოვრიცხავთ, ჯერჯერობით ტერაქტებით არ გამორჩეულა (ღმერთმა ნურც გამოარჩიოსძ; აი, **შტერაქტებისა** კი რა გითხრათ და უპირველესად, სახელისუფლებო-სამთავრობო შტერული საქციელის წყალობით.

მაგალითი — რამდენიც გნებავთ, წვრილმანი თუ „მსხვილმანი“: ძეგლების აფეთქება, კომუნისტების აშენებულისა და დანატოვარის ურცხვად, ყაჩაღურად წართმევა და გაყიდვა (რასაკვირველია — საბჭოური თითქოს არაფერი არ მოსწონთ, მაშინდელ ქონებას კი არხეინად ეპატრონებიანძ, ქვეყნის გაინგლისურება „გაუქართულოების“ ხარჯზე, გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა, ზიზილ-პიპილებიანი კონცერტების გამართვა მილიონობით ლარ-დოლარის გადაყრით, გამარჯვებად მარცხის გამოცხადება, თბილისიდან უმაღლესი ორგანოების განსახლება, ასე ხშირად მინისტრებად და საერთოდ, მაღალჩინოსნებად შეუფერებელთა დანიშვნა (იმათ რიცხვში ლამაზლამაზ გოგოებისაძ, სამსახურში (ვისაც შერჩაძ თითების ანაბეჭდის დატოვებით მისვლა-წამოსვლის დაფიქსირება, ბაზრობების დახურვა, დევნილთა განდევნა-გადასახლება, სკოლების გამანდატურება-გასამხედროება, უცხოეთიდან „დედინაცვალ-მამინაცვალ პედაგოგთა“ ჩამოყვანა (ბურებისა მგონი წინ გველისძ... გამაჩერეთ, მომქაჩეთ, რა...



დიდი ნიუტონი გვასწავლის, ქმედება ყოველთვის იწვევს ტოლ და საპირისპირო უკუქმედებასო... ყოველ წესსა თუ კანონს აქვს თავისი გამონაკლისი და ეტყობა, გენიალური ინგლისელის მესამე კანონის გამონაკლისი ჩვენა ვართ: ამდენ სახელისუფლებო-სამთავრობო შტერულ ქმედებას (ანუ **შტერაქტს**ძ ვერც ერთხელ ვერ მოჰყვა ჯეროვანი უკუქმედება ხალხის, საზოგადოების, მოსახლეობის მხრიდან...

ჩემს შორეულ ახალგაზრდობაში პოპულარული იყო უფროსი ჯანო ბაგრატიონის ასეთი სიმღერაც: „ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე“... თავს თუ იმისი გარდათქმა-გადმოენების ნებას მივცემდი, ასეთი რამ გამომივიდოდა: **შტერაქტების ქვეყანა ოხვრით შემოვიარე...**

დარჩენილ წლებშიც კი საოხრავი წინ კიდევ ბევრი მელის...

**ბერდია ბედოიძე**

ინფორმაცია

## მხიარული და საზრიანი აფხაზები ამერიკაში მიდიან

**— საქართველოს წინააღმდეგობის მიუხედავად, აშშ-ში მაინც წავალთ და ღირსეულადაც გამოვალთ“, — აცხადებს სეპარატისტული აფხაზეთის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის „ნარტი იზ აბხაზიი„ დირექტორი ვიანორ ბებია.**

**მისი თქმით, გუნდი ორკვირიან ტურნეში აშშ-ში მიემგზავრება. აფხაზური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუნდის ფინანსურ მხარდაჭერას მიმწვევი — აშშ-ის მხარე და სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. მთავრობა ახორციელებს.**

**მათივე ინფორმაციით, აფხაზური გუნდი ნიუ-იორკის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად აპრილის ბოლოს დაპატიჟეს.**

**— ჩვენ ღირსეული პროგრამა მოვამზადეთ და ღირსეულად გამოვალთ კიდეც, როგორც არ უნდა უშლიდეს ამას ხელს საქართველო. ჩვენს პროგრამაში არის გამოსვლები კიდევ რვა ამერიკულ ქალაქში, — აცხადებს ბებია.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქართული პარადოქსი

# ლარი მყარდება, ეკონომიკა „სლაბდება“

**თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგს ასეთი აზრიც გაუჩნდა, რადგან ეროვნულმა ბანკმა ლარი ამყარა, ამყარა, მაგრამ იორღა ცხენივით გაჯირითებული ინფლაცია ვერ შეაჩერა, ავდგეთ და თავად ეროვნული ბანკის საქმიანობა შევაჩეროთო. ინფლაცია რომ შეხედავს, ლაგამის ამომდები აღარავინა ჰყავს, ირბენს, ირბენს და თავისით გაჩერდება, აბა რას იზამსო?**

დასკვნა კია „ლოგიკური“, მაგრამ თავად ფაქტია პარადოქსული: თუ ლარი ყოველდღიურად მყარდება და ქვეყნის ეკონომიკაც ყოველთვიურად იზრდება (ხელისუფლების მონაცემებით, რა თქმა უნდაძ, ამ ინფლაციას რა ისეთი მასტიმულირებელი აბი ჩააყლაპეს ჩვენმა ავისმსურველებმა, რომ ერთ ადგილზე ველარ ჩერდება? რას ვიზამთ, ეს ალოგიკური შემთხვევაც, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, როგორც ჩანს, ქართული პარადოქსული ცხოვრების ნაყოფია, რასაც ხელისუფლების „გონივრული პოლიტიკის“ წყალობით მწარედ იმკის ქვეყნის გაქვალტყავებული მოსახლეობა.

განცვიფრებული ხალხი უკვე თვალებს აღარ უჯერებს, როცა გარეთ, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში გამოკრულ ლარის კურსის ამსახველ „მდგრად“ ნაბიჯებს შეხედავს, შიგნით – მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში კი იმავე მდგრადი (მყარიძ ფულით კუჭის მსუბუქად დასანაყრებელი პროდუქტების ნახევარსაც ვერ იძენს. არადა, ფაქტია, წლევანდელი აპრილის შუა პერიოდისთვის ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,65 ნიშნულამდე დავიდა. ეროვნული ვალუტა გამყარდა ევროსთან მიმართებაშიც და 2,40 ლარი შეადგინა. სულ ახლახან, მარტის თვეში ერთი ამერიკული დოლარის ფასი 1,70-1,74 ლარამდე მერყეობდა, ხოლო წლის დასაწყისში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 1,81 ნიშნულსაც კი აღწევდა(!ძ.

ლარის მტკიცე სიმყარესა და ინფლაციის აღვირმიშვებულ ზრდასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა ჩნდება, რომლებიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართული პარადოქსის ჩარჩოებშიც კი ველარ ეტევა. ამათგან უმთავრესია იმის ახსნა-განმარტება, რატომ ახორციელებს ეროვნული ბანკი ლარის კურსის გამყარების პოლიტიკას, თუ ის ვერ შეასრულებს თავის ძირითად ამოცანას და არსებულ ინფლაციას ოდნავადაც ვერ მოთოკავს? **მოთოკვას თავი გავანებოთ, იმას რაღა ვუშველოთ, თუ ეს პროცესი (ეროვნული ვალუტის გამყარება) იმის მაგივრად, რომ ფასების კატასტროფული ზრდა შეაჩეროს, სხვა უარყოფით ფაქტორებსაც იწვევს?**

## რა ვქნათ, ეროვნული ბანკი ხომ არ გავაუქმოთ?

რა უარყოფით ფაქტორებზეა ლაპარაკი? იმაზე, რომ **ეროვნული ვალუტის გამყარება ყოველთვის აძვირებს ადგილობრივ პროდუქციას და, შესაბამისად, ამცირებს ექსპორტის მოცულობას. სამაგიეროდ, ადგილობრივი ვალუტის გამყარება სტიმულს აძლევს, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ახალისებს იმპორტიორებს, რომლებსაც ამ კურსთა შორის სხვაობით შემოტანილი პროდუქცია გაცილებით იაფი უჯდებათ და, ბუნებრივია, მოგებაც მნიშვნელოვნად ეზრდებათ. გამოდის, რომ იმპორტიორი კომპანიების წისქვილზე ვუგდებთ წყალს, იმათ მოგების მარჟა ეზრდებათ, აქაურ მომხმარებლებს კი ხელთ გაძვირებული პროდუქტები რჩებათ.**

ახლა ნახეთ რა „მოგებაში“ არიან ის მოქალაქეები, რომლებიც ახლობლების მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი გროშების ხელშემყურენი არიან. რა თქმა უნდა, **გამყარებული ლარის წყალობით, მათ გაცილებით ნაკლები საქონლის შეძენა შეუძლიათ, ვიდრე ლარის გამყარებამდე შეეძლოთ. ზარალდებიან კომერციული ბანკების მეანაბრენიც, რომელთაც წლის დასაწყისთან შედარებით ბანკში შეტანილი თანხა დაახლოებით 9-10 პროცენტით გაუუფასურდათ.**



აქვე უნდა ვთქვათ იმ უარყოფით ფაქტორზე, რასაც უცხოეთიდან შემოსული ფულადი გზავნილები სამომხმარებლო ბაზარზე იწვევს. **ეს თანხა, რომელმაც 1 მარტის მონაცემებით, 72 მილიონზე მეტი აშშ დოლარი შეადგინა, ბუნებრივია, აწვება ბაზარს, რომლის ასათვისებლად ეროვნული ბანკი იძულებულია მიმოქცევაში დამატებითი ლარი გაუშვას. ფულის მასის ზრდა რა მსუყე ლუკმასაც აძლევს ინფლაციას, ეს ყველასთვის ცნობილია.**

აბა როგორ უნდა მოქცეულიყო ეროვნული ბანკი, რა უნდა მოემოქმედებინა იმისათვის, რომ ინფლაცია შეეჩერებინაო? – იკითხავს ჩვენი გაზეთის მკითხველი.რა უნდა გაეკეთებინა, ჩემო ბატონო, და შექმნილი ვითარება ადრევე უნდა დაეპროგნოზირებინა, ზომებიც დროულად მიეღო და არა მაშინ, როცა ინფლაციამ ქვეყანაში ზენიტს ( 13,9 პროცენტსძ მიაღწიაო, – განმარტავენ ეკონომიკის ექსპერტები და საბანკო-საფინანსო დარგის გამოცდილი სპეციალისტები. ასეა, უმჯობესი იყო ინფლაციის პრევენციისათვის ხელისუფლებას და ეროვნულ ბანკს ადრევე განეხორციელებინათ ღონისძიებანი და ყელაფერი, რაც ამის გაუკეთებლობას მოჰყვა, არ გადაებრალებინათ გარე ფაქტორებისთვის.

**„მტკნარი სიცრუეა ინფლაციის საერთაშორისო მოვლენებზე გადაბრალება, – ამბობს საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი ნოდარ ჯავახიშვილი, – ინფლაციას ყველგან და ყოველთვის იწვევს მთავრობისა და ცენტრალური ბანკის არასწორი პოლიტიკა. ფასების საერთო დონის ზრდა ქვეყნის შიდა პრობლემაა და მასზე საერთაშორისო ბაზარზე რომელიმე კონკრეტული პროდუქტის გაძვირებას არ შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. ამასთან, ყველა ნათლად ხედავს, რომ ეროვნული ბანკის დღევანდელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას, რადგან თუ ერთი მიმართულებით ინფლაციის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებს, მეორე მხრივ მის სტიმულირებას უწყობს ხელს. სწორედ ამის გამოა, რომ უკვე 9 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა, მისი თქმით, მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა, მაგრამ რატომღაც ამან ინფლაციის ზრდის შეჩერებაც კი ვერ გამოიწვია“.**

რაც შეეხება ზოგი სპეციალისტისა თუ ექსპერტის აზრს იმის თაობაზე, რომ ქვეყანას ეროვნული ბანკის გაუქმება განკურნავს ინფლაციის ავადმყოფობისგან, ნოდარ ჯავახიშვილს ამის გაკეთება არასწორად მიაჩნია. მართალია, ამბობს ის, ერთდროს ზიმბაბვეში, რომელსაც სამაგალითოდ იყენებენ, ეროვნული ბანკის გაუქმებამ, დოლარიზაციამ და მულტისავალუტო რეჟიმის შემოღებამ ამ ქვეყანაში ძალიან სწრაფად და ეფექტიანად მოთოკა ინფლაცია, მაგრამ მაშინ იქ სულ სხვა სიტუაცია სუფევდა. ჩვენ არ გვაქვს ჰიპერინფლაცია, როგორც ეს ზიმბაბვეში იყო და არ გვიწევს 3 კილოგრამი ათასლარიანი კუპიურებით პურზე სიარული. „ეროვნული ბანკის გაუქმება, ინფლაციის შემცირების მოტივით, იგივეა, ვთქვათ, ვერა ქობალია მინისტრად არ ვარგა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გავაუქმოთო“, – დასძენს ეროვნული ბანკის პრეზიდენტყოფილი.

აბა სად ან რაში უნდა ვეძიოთ გამოსავალი, ეროვნული ბანკის გაუქმების ნაცვლად ჩვენი ხელთუპყარი ხელისუფლების გადაყენებაში ხომ არა? ამ კითხვაზე პასუხისთვის ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი აღარ შემიწუხებია, მაგრამ მთავრობის შეცვლაზე რომ თანახმაა, ამის თაობაზე არაერთგზის განუცხადებია. ამ ხელისუფლების ხელში მარტო ინფლაციის მოთოკვას კი არა, საერთოდ, ეკონომიკის განვითარებას არავითარი პერსპექტივა არა აქვსო, ამიტომ ტყუილად ვინმე შეეცდებაო, მასთან თანხმობით ქვეყნის ხსნის რაიმე რეცეპტის გამოწერას.

**ოთარ ხუციშვილი**

ეკონომიკური სემინარი

# ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება

**ამ დღეებში სასტუმრო „მერიოტ-თბილისში“ გაიმართა ქართველი ეკონომისტების შეხვედრა-სემინარი დაინტერესებულ მსმენელებთან და ჟურნალისტებთან. განხილვის თემა იყო ქართული ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა და მისი პერსპექტივები. მოხსენებებით წარსდგნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სპეციალისტები – ნოდარ ჯავახიშვილი, დემურ გიორხელიძე, იოსებ არჩვაძე.**

თავისთავად სემინარის მოწყობით თითქოს ორიგინალური არაფერი მომხდარა – ზემოთ ნახსენები პიროვნებები პრესისა და ტელეეკრანების ხშირი სტუმრები არიან, მაგრამ ამჯერად საქმე გვაქვს მცდელობასთან – მოხდეს საქართველოს ეკონომიკური პრობლემების სისტემური აღნუსხვა და თავმოყრა და ამ საფუძველზე მოიძებნოს გამოსავალი არსებული რთული ვითარებიდან. ხელისუფლება, როგორც წესი, უგულებელყოფს დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებებს და მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნია კომპეტენტურად. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც არსებობს საჭიროება, დაიდოს გარკვეული მასალა, რათა ხელისუფლებას არ ჰქონდეს საბაბი, გამოაცხადოს, რომ მისი კრიტიკოსები ჰაერზე საუბრობენ და ანალიზისა და კონსტრუქციული წინადადებების შემუშავება არ ძალუძთ. ამ მხრივ სემინარი წინ გადადგმული ნაბიჯია – განსხვავებით პრესის ფურცლებზე თუ სატელევიზიო გადაცემებში გაფანტული თეზისებისგან, სემინარის ფარგლებში საექსპერტო აზრი თავმოყრილია და დისკუსიის გზით მეტად თუ ნაკლებად შეჯერებული.

სემინარის ორგანიზატორია ახლად შექმნილი რუსულ-ქართული საექსპერტო ორგანიზაცია – „კავკასიის თანამშრომლობის ცენტრი“, რომლის ხელმძღვანელია პოლიტოლოგი და ისტორიკოსი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის თანაშემწე, ჟურნალ „ექსპერტის“ ერთ-ერთი რედაქტორი, ნიკოლაი სილაევი. საქართველოში „კავკასიის თანამშრომლობის ცენტრს“ წარმოადგენენ პოლიტოლოგები ნანა დევდარიანი და გულბაათ რცხილაძე, რომლებიც უძღვებოდნენ კიდეც სემინარის მიმდინარეობას. საყურადღებოა რუსული მხარის ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობისადმი კონსტრუქციული მიდგომა. მიუხედავად ორ ქვეყანას შორის არსებული სავალალო მდგომარეობისა, მაშინ, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია, რუსი და ქართველი ექსპერტები ცდილობენ თანამშრომლობის გაღრმავებასა და სასიკეთო საქმის გაკეთებას. როგორც სემინარის წამყვანებმა აღნიშნეს, ეკონომიკური სემინარი კავკასიის თანამშრომლობის ცენტრის მიერ გამართული პირველი ღონისძიებაა. ცენტრი სავარაუდოდ თვეში ერთხელ მსგავს საექსპერტო სემინარებს გამართავს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. სემინარებზე წაკითხული მოხსენებები და გამართული დისკუსიების ძირითადი შინაარსი გამოქვეყნდება ცენტრის ვებ-გვერდზე www.georgiamonitor.org

**კობა კახეთელიძე.**

ინფორმაცია

## გრიბოედოველები რუსეთის ფესტივალს ეწვევიან

**რუსეთში დაგეგმილ ფესტივალში თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრიც მიიღებს მონაწილეობას.**

**ამის შესახებ ინფორმაციას „ვზგლიადი“ ავრცელებს.**

**გამოცემა წერს, რომ მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობებისა, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, რომელშიც მონაწილეობას დსთ-ს ქვეყნების რუსულენოვანი თეატრები იღებენ, თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრიცაა მიწვეული.**

**მათივე ინფორმაციით, 26 აპრილს ფესტივალის „შეხვედრა რუსეთში“ ფარგლებში გრიბოედოვის თეატრი სპექტაკლს „გეტო“ წარმოადგენს, რომელიც ბრიტანელი დრამატურგის ჯოშუა სობოლის პიესის მიხედვით არის დადგმული.**

**სპექტაკლი სამამულო ომის დაწყებიდან 70 წლისთავს ეძღვნება.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სამხედრო პროფესიის პრესტიჟისათვის

# ორი თემა



### პირველი – სამხედრო ელიტა

**არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ქვეყანა ომის ვითარებაში იმყოფება — „დუნე დინების ფაზაშია“. ამავე დროს, სახელმწიფოებრიობის აღორძინება-განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობს სამხედრო რეფორმაც, სადაც მეომართა მოტივირება აღიარებულია ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად.**

მოტივირების მნიშვნელოვანი კომპონენტი კი სამხედრო პროფესიის პრესტიჟია. უფრო სწორად, მოტივაცია და პრესტიჟი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

ანბანური ჭეშმარიტებაა ისიც, რომ **ჯარის მოტივირებული მდგომარეობა შეუძლებელია საზოგადოების მოტივირებული მხარდაჭერის გარეშე.** ამიტომაც არ არის საკამათო, თუ ვისთვისაა უფრო მნიშვნელოვანი სამხედრო პროფესიის პრესტიჟი: სამხედროებისთვის თუ სამოქალაქო საზოგადოებისთვის... დღევანდელ ვითარებაში ეს უაღრესად მნიშვნელოვანია მთელი ერისთვის, რამაც მაიძულა მიმემართა თავდაცვის მინისტრისთვის ასეთი მოსაზრებით:

**საბჭოთა ხანაში, დედაქალაქის ცენტრში არსებობდა ე.წ. „ოფიცერთა სახლი“, როგორც საბჭოთა იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის სიმბოლო — ქართულ მიწაზე „რუსული ჩექმის“ ნიშან-ნაკვალევი. დღევანდელ ვითარებაში არა მარტო ჯარს, არამედ ყველას გვესაჭიროება ქართველ მეომართა თავშეყრის ადგილი — „საქართველოს კეთილშობილ ოფიცერთა საკრებულო“, სადაც დაიხვეწება სამხედრო ღირსება, სინდისიერება, კეთილშობილება, როგორც მამულიშვილური მოწოდების შედეგი — „სამშობლოს“ და „სახელმწიფოს“ ცნებები შეირწყმება ერთიან განცდაში და, რაც მთავარია, ჩაეყრება საფუძველი სამხედრო დინასტიების — სამხედრო არისტოკრატიის აღორძინებას, რომელიც ოდესღაც არსებობდა და ქართული არისტოკრატიის უმნიშვნელოვანეს და განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. ქართველ მეომართა თავშეყრის ადგილი თავისთავად განაპირობებს სამხედროთა და სამოქალაქო პირთა მჭიდრო ურთიერთკავშირს — საზოგადოებამ უნდა მიიღოს გზავნილი იმისა, რომ საქართველოს ოფიცრობა ჩვეულებრივი ნაწილი კი არაა საზოგადოებისა, არამედ მისი ზნეობრივად გამორჩეული ელიტის საამაყო შემადგენელია.**

**სამხედრო პროფესიის პრესტიჟის ასამაღლებლად, მოტივირების გასამყარებლად, ახალი ინტელექტუალური პოტენციალის მოსაზიდად — ჯარის სრულყოფის დასაჩქარებლად, ძველ ოფიცერთა სახლის შენობას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია საკრებულო განთავსებული იყოს თვალსაჩინო ადგილას... თუმცა, ძველი შენობა, მისი არქიტექტურული დაგეგმარებით, „საქართველოს კეთილშობილ ოფიცერთა საკრებულოს“ მიზნებს და ამოცანებს ზედმიწევნით ესადაგება.**

თავდაცვის მინისტრმა არაფერი მიპასუხა. სამწუხაროა, რომ მისთვის სტრატეგიულად აზროვნება დაუძლეველი რამ ყოფილა. თუმცა ეს გასაგებიცაა: მისი თაობა გადაჭარბებით პრაგმატულია, ეს კი თითქმის გამორიცხავს შორსმჭვრეტელ, სტრატეგიულ აზროვნებას — პრაგმატულობის ბუნება მდგომარეობს ამწუთიერ, ტაქტიკურ ამოცანათა გადაჭრაში, რაც, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ კატეგორიულად არასაკმარისია ნებისმიერი მთავრობის წევრისთვის, საომარ ვითარებაში თავდაცვის მინისტრისთვის კი, მით უმეტეს...

მინისტრის დუმილის ერთი წლის თავზე ეს მოსაზრებები გავუმეორე პრეზიდენტს, თბილისის მერს და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს, სადაც დამატებით აღვნიშნე, რომ ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაარსება შესაძლოა პრეზიდენტის, ქალაქის საკრებულოს, თბილისის მერიის, თავდაცვის სამინისტროს, რიგითი მოქალაქეების ერთობლივი ინიციატივით და ძალისხმევით. იქვე დავძინე, რომ ეს წამოწყება არ მოითხოვდა მნიშვნელოვან ხარჯებს. მით უმეტეს, რომ **ქართული სამხედრო ელიტის პრესტიჟს, მის საზოგადოებაში ჰარმონიულ ინტეგრირებას და საერთო ეროვნული მოტივირების მნიშვნელობას ვერავითარი თანხა ვერ გადასწონის.**

შემეხმიანა მხოლოდ ზაალ სამადაშვილი. კლასიკური ბიუროკრატიული სტილით მან მაცნობა, რომ ჩემმა ინიციატივამ ქალაქის საკრებულომდე მიაღწია და ამ საკითხს საკრებულოს საზოგადოებრივი საბჭო, მისი მორიგი შეკრებისას, განიხილავს. სადაცაა ერთი წელი შესრულდება — საბჭო სდუმს... ეტყობა არ შეკრებილან. თუმცა, ეს საბჭო, ვფიქრობ, ისედაც არაფრის გამკეთებელია. სამადაშვილმა კი ფორმალურად ვალი მოიხადა და დამშვიდდა...

პასუხს არც პრეზიდენტისგან და არც მერისგან არ ველოდი — ყველა სახელმწიფო მოხელეს განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ... ისევ და ისევ ახალაიას გულგრილობასა თუ ინტელექტუალურ უუნარობაზე ვფიქრობდი. მის მიერ ასეთი მოსაზრების იგნორირება კიდევ ერთ სამწუხარო ფაქტზე მეტყველებს: როდესაც ლაპარაკია სამხედრო არისტოკრატიის აღორძინებაზე, ადამიანს ის მაინც უნდა ესმოდეს, თუ რას ნიშნავს არისტოკრატიზმი, რა ფასეულობების მატარებელია და რა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე. თავდაცვის მინისტრს ასეთ ამოცანაზე დაფიქრება ყოველნაირად ევალება, მაგრამ რა ვუყოთ, თუ პრაგმატულობა ოფლივით ჟონავს მისი ყველა უჯრედიდან და ამასთანავე, არისტოკრატიზმი ისევე გაეგება, როგორც ერთ ცხოველს ხურმის გემო...

### მეორე – მოწინააღმდეგესთან უპირატესობა

ვესტ-პოინტის ყაიდაზე ქართული სამხედრო აკადემიის მოწყობა, ამერიკული გამოცდილების გამოყენება სწორი, შორსმჭვრეტელური — სტრატეგიული გადაწყვეტილებაა. ჩვენს სამხედრო თეორიას და პრაქტიკას გათანამედროვება აშკარად ესაჭიროება. ამავე დროს, დღევანდელ ვითარებაში ქართული ჯარი და სასაზღვრო პოლიცია უნდა იყვნენ მზად ნებისმიერი მოქმედებისთვის. ეს დღევანდელი, „ამწუთიერი“ სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. **აქსიომაა, რომ სავარაუდო მტრის (ჩვენს შემთხვევაში, რუსეთის) ენის ცოდნა აუცილებელია, იქნება ეს თავდაცვითი, კონტრშემტევი თუ საგანგებო ოპერაციები.** დღევანდელ რუსეთში და მით უმეტეს რუსულ ჯარში არ ლაპარაკობენ გამართული, ლიტერატურული ენით. თუ ამას დავუმატებთ რუსული სამხედრო ყოფის სპეციფიკას — **რუსული ენის საგანგებო კურსის გავლა ქართული რეგულარული ჯარის ოფიცრობისთვის და მესაზღვრე პოლიციელებისთვის აუცილებელია.** რუსული სპეციფიკური სალაპარაკო ენის საგანგებო კურსის შექმნა მოიცავს რამდენიმე ეტაპს: პრაქტიკული სავარჯიშოების განსაზღვრას; სიტყვა-წინადადებათა ბლოკების დაზუსტებას; მსმენელთა რუსული ენობრივი პოტენციალის შესწავლას და მათგან 4-5-კაციანი მინიჯგუფების ჩამოყალიბებას. საგანგებო კურსის მიზანი მეტად კონკრეტულია: ასწავლოს, და, სხვადასხვა მეთოდიკების საშუალებით, განუვითაროს მსმენელებს თანამედროვე რუსული სალაპარაკო ენის რეგიონალური და ყოფითი თავისებურებების აღქმის უნარი და ამ ცოდნის გამოყენებით თავისუფალი ურთიერთობის შესაძლებლობა, რის გარეშეც საომარ ვითარებაში შეუძლებელია მოწინააღმდეგის მხრიდან რაიმე (ფარული თუ აშკარაძ ინფორმაციის მოპოვება; მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ-ემოციური მართვა (მაგალითად ე.წ. „ჭეშმარიტების მომენტის“ წამებშიძ.

ვეჭვობ, რომ ვესტ-პოინტის არსენალში არსებობდეს ვიწრო-სპეციფიკური პროგრამა, რომელიც მოწინააღმდეგესთან სხვადასხვა ვითარებაში ურთიერთობის ისეთ ძირითად საწყის უნარებს ანვითარებდეს, როგორებიცაა: ფსიქოლოგიური შებოჭილობისგან განთავისუფლება; ინფორმაციის ზუსტი მოპოვება და მისი არაორაზროვნად გაგება; საჭიროების შემთხვევაში რუსული ხასიათისთვის მისაღები, ბუნებრივი უშუალობის გამოვლენა და მისი აგრესიის თუ შიშის ნეიტრალიზება; ვერბალური, ვიზუალური, სმენითი და შეხებითი კონტაქტ-ურთიერთობის კომპლექსურად გამოყენება მოცემულ საომარ გარემოებაში და, ამავე დროს, გარემოებების ცვლილებებზე სათანადო რეაგირება.

ეს მოსაზრებები, თანდართული დეტალური გეგმით გაეგზავნა ქართული სამხედრო აკადემიის რექტორს, ბატონ ანდრო ბარნოვს. შედეგად ისევ დუმილია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საპირისპირო ფენომენთან — აკადემიის რექტორში შორსმჭვრეტელური სტრატეგია სჯაბნის და ანეიტრალებს პრაგმატულ, ამწუთიერ საჭიროებას... ეს ერთგვარი რომანტიკული მიამიტობაა. შეუძლებელია ისწრაფვოდე „ნათელი მომავლისკენ“, როდესაც მზად არა ხარ არც გონებრივად, არც ფიზიკურად, რათა ამ გრძელ გზას გაუმკლავდე.

* * *

ორივე თემა სახელმწიფოს უშიშროების ხარისხის, საქართველოს დამცველების პიროვნული თვისებების და პროფესიული დონის ამაღლებას ეხება. ერთი მიმართულია მომავლისკენ, მეორე — აწმყოსკენ.

რაშია საქმე, რა არის დაბრკოლების მიზეზი? უნებლიეთ, ამავე გაზეთში ადრე გამოქვეყნებულ ჩემსავე სტატიას ვუბრუნდები: სახელმწიფოსთვის საზარალო საკადრო პოლიტიკა — ეს და მხოლოდ ესაა ყველაფრის თავი და თავი — მტკივნეული და ძნელად გამოსასწორებელი ხარვეზი, მაგრამ უთუოდ გამოსწორებადი. სულ სხვაა ის, რაც საკადრო პოლიტიკაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, მაგრამ ვაი რომ, გამოუსწორებადი — შინაგანი კულტურა. თუ ადამიანს არ ამოძრავებს ეს ბავშვობიდან შეთვისებული თვისება — ვერაფრით ვერ ჩაუნერგავ ამ სპონტანურად მოქმედ „მექანიზმს“, რომელიც მას კარნახობს, რომ ნებისმიერი რჩევა (რაგინდ უდროო, ან მცდარი იყოს იგიძ, უყურადღებოდ, უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. ზრდასრული ადამიანისთვის ამის სწავლება ფუჭი დროის ხარჯვაა — შინაგანი კულტურა, ისევე როგორც მუსიკალური სმენა — ან გაქვს, ან — არა!

**მალხაზ ჟვანია**

## ინფორმაცია

# ჟირინოვსკი რუსეთის ჰერალდიკის შეცვლას ითხოვს



**რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ჟირინოვსკი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის ახლანდელი დროშა ე.წ. ტრიკოლორი (თეთრი-ლურჯი-წითელი) რუსეთის იმპერიის ასევე სამფეროვანი (შავი-ყვითელი-თეთრი) დროშით უნდა შეიცვალოს. მისივე აზრით, ასევე სახელები უნდა გამოეცვალოს ქალაქებსა და ქუჩებს, რომლებიც ამჟამად პოლიტიკური მოღვაწეების სახელებს ატარებს.**

**— ამერიკელებს უკვე 200 წელია ერთი და იგივე დროშა აქვთ, ჩვენ კი მას ყოველ 50 წელიწადში ვცვლით. კონკრეტული წინადადება: კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ რუსეთის იმპერიის შავ-ყვითელ-თეთრ დროშას, რომლის ქვეშაც ქვეყანამ ყველაზე დიდ ძლევამოსილებას მიაღწია“, — განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ მრგვალ მაგიდაზე, რომელიც ახალგაზრდებს შორის პატრიოტიზმის გაღვივების თემას მიეძღვნა.**

**ჟირინოვსკის აზრით, რუსეთის ახლანდელი დროშა — „კერენსკისა და ვლასოვის დროშაა“.**

**— ვინ სცემს პატივს ასეთ დროშას? ჩვენ არ შეგვიძლია, იმიტომ რომ ეს არავისი დროშა არ არის. რუსეთის ახლანდელი დროშა სახელმწიფო დროშა ელცინის დროს გახდა. ელცინი მოკვდა, დროშა კი დარჩა, — აცხადებს რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.**

**ამას გარდა, მისივე ინიციტივით, უნდა აიკრძალოს რუსეთის ქალაქებისა და ქუჩებისათვის პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელების მინიჭება. „დღეს მოსკოვში არის ისეთი ადამიანის სახელობის ქუჩა, რომელიც გამოდიოდა მოწოდებით მოეკლათ რაც შეიძლება მეტი რუსი. როგორ უნდა იცხოვროს ახალგაზრდობამ ამ ქუჩაზე, — აცხადებს ჟირინოვსკი.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ენგურს გაღმა...

# ვიდრე ანგელოზები დაბრუნდებიან...

— ჰო-და, ბებო! — ბიჭი ბალიშს გვერდით მოისროდა და ლოგინში წამომჯდარი, ლამის ყელს იღადრავდა, ბებოს შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებას სთხოვდა. წელში მოკაკვული მოხუცი კი განთიადის ფეხდაუკარებელი თოვლივით კამკამა თმას თავშლის ქვეშ მოიქცევდა და ბიჭს ევედრებოდა, ახლა ძილის დროა, გენაცვალე, ხვალ ვისაუბროთ. ბებია-შვილიშვილის კამათი მუდამ თორნიკეს გამარჯვებით მთავრდებოდა. ქალი სწრაფად იშორებდა უცაბედი „სიბრაზის“ ჩრდილს და მას ღიმილიანი სახით, ჩოჩიალით მიჰქონდა საწოლთან დაბალი, სამფეხა სკამი. მერე მუხლებზე ხელებდაწყობილი, სიხარულის ჭინკებით თვალებაციმციმებული ბიჭის სასთუმალთან ჩამომჯდარი, საოცარ ამბებს ჰყვებოდა...

მდინარის პირას დიდებული ტაძარი იდგა. უფლის სახლში თავს იყრიდა მილეთის ხალხი. ღვთის სადიდებლად მთის შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა მრევლი. საზეიმოდ გამოწყობილნი, მოკრძალებისა და სათნოების გამომხატველი ღიმილით განათებულნი, მუხლებზე დამხობილები ღმერთს შენდობას სთხოვდნენ და მერე ყელამდე იმედით აღვსილები, თითქოს გულის სიღრმეში ანთებული სანთლებით გასხივოსნებულნი, პირჯვრის წერითვე ტოვებდნენ წმინდა სალოცავს.

შემდეგ, ბოლშევიკები მოვიდნენ და ბრძანეს, „ეკლესია-მონასტრები არ გვინდაო“. მრევლი გაუგონარის მოლოდინში გაიყურსა. მუქარით, რიხით მოფაფხურენი ტაძრის გუმბათის ჩამოსაგდებად მამაც, მკლავმაგარ ვაჟკაცს იხმობდნენ. მოულოდნელად, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის, ტანმაღალმა ახალგაზრდამ ხალხის წრე გაარღვია, ავაზასებური სიმარდით აცოცდა ტაძრის სახურავზე, წერაყინით გუმბათი თანდათან მოარღვია და ძირს ჩამოანარცხა.

შეტორტმანდა გარემო, აცახცახდნენ ხეები, ქალებს ღაწვებზე ცრემლები ჩამოუგორდათ, კაცებმა ხელები თავში წაიშინეს...

ერთბაშად ცა ჩამობნელდა, თქეში წამოვიდა. ხალხი ტირილითა და ვიშვიშით გასცილდა ცოდვადატრიალებულ ადგილს. ერთმანეთში არეულიყო უცაბედად თავსდატეხილი უბედურებით გამოწვეული წუხილი, შიში და რაღაც ბურუსით მოცული მომავლის მოლოდინი. ეს საოცრება სოფელს მაშინ მოაგონდა, როდესაც შუახანს მიღწეული გერასიმე ადიდებულმა მდინარემ დაახრჩო. მალე მამის კვალს ქალ-ვაჟიც მიჰყვა. უცაბედად დაემშვიდობნენ სამზეოს, ამოწყდა ოჯახი.

— როგორ, ბებო? — თორნიკე გაოცებულ-შეცბუნებული შეჰყურებდა მოხუცს.

— ტაძრის დამაქცევარს სამაგიერო მიეზღო.

— მერე, ხალხმა ლოცვა მიატოვა?

— არა, გენაცვალე. ქართველი ადამიანი ღვთის სახლში თუ არ შევიდა და უფალს წმინდა სანთელი არ აუნთო, არ შეუძლია. ეკლესიამდე სავალი გზა დაგვიგრძელდა, მაგრამ ამ რიტუალს თავისებური ხიბლი და ანდამატიც ახლდა. საღამოს ქალები ხაჭაპურებს დააცხობდნენ, საგზალს გაამზადებდნენ, ბავშვები კი სულ სიცილ-ტკარცალით ვიღვიძებდით დილაუთენია. მერე ჯერ ფეხით მივუყვებოდით გორაკს ადევნებულ ვიწრო ბილიკს, მერე კი ავტობუსით მივემგზავრებოდით აფხაზეთში.

ენგურის ხიდზე გადასვლის შემდეგ სწრაფად ილეოდა გზა და უკვე სახეზე ღიმილგადაფენილები ფეხდაფეხ მივყვებოდით მრევლს. ტაძარში საოცარი სინათლე და სურნელება იდგა. თითქოს ვიღაც უჩინარს ხელთ ეპყრა დიდი საცერი და იქიდან სქელი, ცისფერში არეული გამჭვირვალე ოქროსფერი ნისლი ჩამოდიოდა...

ჰყვებოდა და ჰყვებოდა ბებო უფლის სახლის სიდიადეზე, მზისა და ზღვის სილამაზეზე. სადაცაა ჩამავალი მზე ქოლგასავით გადაიშლებოდა ზღვის ტალღებზე და, როცა ოქროსფერი სადღაც გაუჩინარდებოდა, — წვრილ-წვრილი მარგალიტები კარგა ხანს ციალებდნენ წყლის მოსარკულ ზედაპირზე...

ელენე იქ ჩერდებოდა, საიდანაც დიდი ტკივილი უნდა დაწყებულიყო. ტკივილს კი ახლა კედელზე დაკიდებული სურათების ქვეშ ეძინა. ხელის ოდნავი, ნიავივით მსუბუქი შეხებაც კი საკმარისი იყო მის გასაღვიძებლად. გაღვიძებული სატკივარი კი ცხოვრებას გაუსაძლისს გახდიდა.

ელენე აფხაზეთში რომ გათხოვდა, აფეთქებული ატმის ხეს ჰგავდა. სიცოცხლე ეძახდა, იხმობდა და ისიც დიდ სილამაზესთან შესახვედრად ნიავსადევნებული ფოთოლივით მიჰქროდა.

ახლა ძალიან მოკლე იყო ტაძრისკენ მიმავალი გზა, მაგრამ უღრუბლო, მზიან დღეებში ავდარიც გამოერია. ცრემლებად და ურვად ექცა სიხარული. აფხაზეთში ქარბორბალასავით დატრიალებულმა ტრაგედიამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის იყო ელენეს ქმარი სანდრო, შვილი გიორგი კი მძიმედ დაიჭრა და თბილისელმა ექიმებმა ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს ხელიდან. მოგვიანებით, გიორგი ოჯახს მოეკიდა, მაგრამ თორნიკე ჯერ წლისაც კი არ იყო, როცა ტკივილმა თავი შეახსენა და თან გაიყოლა.

დარდმა და ვარამმა სამზეოს გამოსტაცა თორნიკეს დედაც... ელენეს ახლა მხოლოდ ერთი სანთელი ენთო. ეგონა, მის თავზე წისქვილის ქვა ტრიალებდა და შვილიშვილი რომ არა, ტვირთის უსაშველო სიმძიმე ძირს დასცემდა და მწყემსის ნაბადივით გათელავდა. აფხაზეთში უპატრონოდ მიტოვებული, თვალებამოღამებული სახლის სევდაც სულს უფორიაქებდა, თრგუნავდა. ამიტომ ბიჭს მხოლოდ იმას უამბობდა, რის მოგონებასაც მის სულში სინათლე შეჰქონდა. სწორედ ტაძარი იყო მისი საიმედო ციხე-სიმაგრე თუ თავშესაფარი... თორნიკეს ახლა იმედად მხოლოდ ბებო ეგულებოდა. ის იყო მისი დედაც, მამაც, მფარველი ანგელოზიც და ცხოვრების მეგზურიც. მშობლებისა და აფხაზეთის ხსენებისას, ბავშვს ჯერ თვალითაც რომ არ ენახა, ბებოს ჩამოღარულ-დანაოჭებულ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდებოდა და მერე გულდათუთქული სულს ძლივს ითქვამდა. ამიტომ ბიჭსაც კი ერჩია მოხუცი საუბრის გუნებაზე ყოფილიყო და უფლის სახლის მომაჯადოებელი სითბო მისთვისაც მისხალ-მისხალ ეწილადებინა. თორნიკე ოცნებას შორს მიჰყავდა და ტაძრის ფრესკების იდუმალება და ხიბლი თავისკენ იხმობდა, გამუდმებით ეძახდა.

— ბებო, როდის წამიყვან ილორში?

— მეც ძალიან მინდა, შვილო, ეს სურვილი შეგისრულო, მაგრამ ახლა ენგურის ხიდზე რუსები რომ დგანან?

— ვიცი, ბებო, პატარა ხომ არა ვარ? მხოლოდ ეს ვერ გამიგია, სალოცავად წასვლა რატომ უნდა აგვიკრძალონ?

— აი, ზამთრის არდადეგებზე, ჩემს დასთან, ნათლასთან წავიდეთ შვილო, ზუგდიდში. ვინ იცის, იქნებ მოვახერხოთ კიდეც ენგურის ხიდზე გადასვლა.

შობა დღეს, ნათელამ ელენესა და თორნიკეს პატივსაცემად, მეზობლები აიყოლია. შესხდნენ ურემზე, ენგურის ხიდზე მოჯარულ ცისფერჩაფხუტიანებს ცოტ-ცოტა ფულიც მიაშავეს და ზედ არყებიც მიაყოლეს. რუსებმა გულდაგულ შეაჯანჯღარეს ბოთლები და, როდესაც ჯაჭვისებური რგოლები საცობისკენ დაიძრა, „ჩა-ჩა, ჩა-ჩაო“... ახორხოცდნენ და სალოცავად მიმავალთ გზა გაუხსნეს.

მრევლი პირჯვრის წერით უახლოვდებოდა ილორს. ის-ის იყო ტაძრის ზღურბლს გადააბიჯეს, რომ უფლის სადიდებლად მისულებს ვაღაცის კვნესამ ცივ ჟრჟოლასავით დაუარა და ერთ ადგილზე გააშეშა. ელენემ თვალი შეავლო ღვთის სახლს და ელდანაცემი ჭინჭრით დასუსხულივით აცახცახდა. ირგვლივ ყველაფერი თეთრ სუდარაში გახვეულს ჰგავდა. ვიღაცის მსახვრალ ხელს ფრესკების მშვენიერება სითეთრის ქვეშ მიეჩქმალა. ჭერიდან ჩამონადენ წვრილ-წვრილ სისველეს კედლები ჩამოეზილა. „ანგელოზები იცრემლებიან“, დაიჩურჩულა ვიღაცამ. ელენემ თორნიკეს ფეხებთან ჩაიმუხლა, შვილიშვილისკენ ხელები გაიწვდინა, მაგრამ მკლავები მოჭრილი ხის ტოტებივით ძირს ჩამოუცვივდა. შეჩოჩქოლდა ტაძარი. ვიღაცამ „პიტნის წვეთები“ მოარბენინა, ვიღაცამ — „კატაბალახას“ აბები. მღვდელმა ქალს სურნელოვანი წყალი ასხურა და მანამდე არ მოსცილდა, ვიდრე ფეხზე არ წამოაყენა.

მოგვიანებით, ურემი ჭრიალით მოიკვლევდა გზას ზუგდიდისკენ. ენგურის ხიდთან ქერათმიან ჯარისკაცებს ტაშფანდურა გაემართათ. ცეკვავდნენ, ერთმანეთს ეზლოტებოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, ბლაოდნენ...

ლამარა ესართია



ინფორმაცია



## აზერბაიჯანს რევოლუციის საფრთხე არ ემუქრება

აზერბაიჯანში საპროტესტო აქცია დაარბიეს და აქტივისტები დააკავეს. ხელისუფლებამ ოპოზიციის მიტინგი ძალის გამოყენებით დაშალა. მანიფესტანტები პრეზიდენტ ალიევს დიქტატურასა და დემოკრატიის დასამარებაში ადანაშაულებდნენ.

სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული კადრებით ცხადი ხდება, თუ როგორ უსწორდებიან სამართალდამცველები აქციის მონაწილე ქალბატონებს.

არაოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულთა რაოდენობა 150-ს აღემატება, რასაც ოფიციალური ბაქო ჯერჯერობით არ ადასტურებს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულთა შორის ორი შვედი ჟურნალისტიცაა.

დარბეული მიტინგების შესახებ საგანგებო განცხადება აზერბაიჯანის პრეზიდენტმაც გააკეთა და ოპოზიცია სხვათა ინტერესების ლობირებაში დაადანაშაულა.

— ჩვენი სახელმწიფო იმდენად ძლიერი და პოლიტიკურად სტაბილურია, რომ აქ რევოლუციის არც ობიექტური და არც სუბიექტური მიზეზები არ არსებობს, — აღნიშნა ალიევმა.

## მინსკის მეტრო მედვედევმა ააფეთქა





ბელორუსელი სამართალდამცავები კიდევ ერთ ეჭვმიტანილს ეძებენ. მილიცია ვარაუდობს, რომ ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ეროვნებით რუსი ვიქტორ დვორსკოვი იყოს.

23 წლის ახალგაზრდას რუსეთში მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებენ. სამართალდამცავებმა ვიქტორის სახლსაც მიაგნეს და ტერაქტთან დაკავშირებით მისი დედა დაკითხეს. იგი შვილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმირებული არაა და აცხადებს, რომ მას ვიქტორი ექვსი თვეა, არ უნახავს.

რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები ტერაქტთან დაკავშირებით კიდევ სამი დამნაშავის სახელსა და გვარს ავრცელებენ. როგორც ბელორუსიის შსს წარმომადგენლები განმარტავენ, მინსკის მეტროში აფეთქების ორგანიზატორები 25 წლის დიმიტრი კონუვალოვი, ვლად კოვალევი და 28 წლის მედვედევი არიან.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს განზრახული აქვს აფხაზებსა და ოსებს საზღვარგარეთ გამგზავრებაში დაეხმაროს

**საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს დაიწყოს ეგრეთ წოდებული ნეიტრალური პასპორტების გაცემა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის. დოკუმენტს არ ექნება ქართული სიმბოლიკა და მის მფლობელებს მიენიჭებათ უფლება გადაადგილდნენ საქართველოში და უცხოეთის ქვეყნებში.**

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელებმა თბილისის ინიციატივას „ბოდვა“ უწოდეს. მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იდეა შეიძლება იყოს წარმატებული, ვინაიდან თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მცხოვრებლებისთვის ხსნის კარს ევროპაში, სადაც გამგზავრებისთვისაც ვიზების მიღება მათთვის პრაქტიკულად არარეალურია.

როგორც საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა ეკატერინე ტყეშელაშვილმა პარლამენტში მოსმენის დროს განაცხადა, „ნეიტრალურმა პასპორტებმა“ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებს უნდა შეუცვალოს „თავის დროზე უკანონოდ გაცემული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა პასპორტები“. „ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებთა მოსაზიდად დოკუმენტებზე არ იქნება საქართველოს სიმბოლიკა, – აღნიშნა ქალბატონმა ტყეშელაშვილმა. – ეს პასპორტები მათ მფლობელებს საშუალებას მისცემს იმოგზაურონ საქართველოში, პერსპექტივაში კი – შორს უცხოეთშიც, მაგალითად, თუ ისინი ისწავლიან იქ პრეზიდენტის ფონდის ხარჯზე“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში წყარომ გვაცნობა, რომ საკითხი აქტიურად მუშავდება ევროკავშირთან ერთად, რათა მოზიდული იქნენ რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლები. ამავე დროს ოფიციალური თბილისი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ დოკუმენტები გაიცეს არა მხოლოდ ევროპული სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ, არამედ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების მიერაც და ისინი აღიარებული იქნენ ლეგიტიმურად ევროკავშირის ყველა ქვეყნის მიერ.

საკითხი აფხაზებისა და ოსებისთვის ნეიტრალური დოკუმენტების გაცემის შესახებ განიხილებოდა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში. მაშინ ეს შეიძლება ყოფილიყო ეგრეთ წოდებული გაეროს პასპორტები. თანაც ასეთი ნაბიჯის ინიციატორად გამოვიდა აფხაზეთის მხარე, მაგრამ საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ვერ გაბედა წასულიყო ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე. ამჟამად კი სოხუმში და ცხინვალში საქართველოს ხელისუფლების



ამგვარსავე იდეას მეტად სკეპტიკურად მოეკიდნენ. „წინადადებას „ნეიტრალური პასპორტების შესახებ“ სამხრეთ ოსეთში, რომელიც აღიარებული სახელმწიფოა, არ აქვს არანაირი დამოკიდებულება, – განაცხადეს სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. – მათ ძალიან დაიგვიანეს და ეს სამხრეთ ოსეთში არავის აინტერესებს“. აფხაზეთის პრემიერმა სერგეი შამბამ კი ეკატერინე ტყეშელაშვილის წინადადებას „ბოდვა“ უწოდა. „ამ პასპორტებს აქ არავინ აიღებს, – დარწმუნებულია იგი. – მოქალაქეებს აქვთ რუსეთისაც და აფხაზეთის პასპორტებიც. ასე რომ, ჩვენ როგორმე გამოვალთ საქართველოს ამ დოკუმენტების გარეშეც“.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები თბილისში მიიჩნევენ, რომ უბრალო ხალხისთვის ინიციატივა არცთუ იმდენად უაზროა, როგორც იგი უნდათ რომ წარმოგვიდგინოს ხელისუფლებამ. „აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ბევრი მცხოვრებისთვის,რომლებსაც დიდი სირთულეები ხვდება შენგენის ვიზების მისაღებად, ასეთი ინიციატივა შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს“, – დარწმუნებულია დამოუკიდებელი ექსპერტი ნიკა იმნაიშვილი. საქმე ის არის, რომ ამჟამად ევროკავშირის ბევრი ქვეყანა არ გასცემს ვიზებს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებზე მათ მიერ საელჩოებში რუსეთის პასპორტების წარდგენის შემთხვევაში. ახალი დოკუმენტები კი, როგორც ამაში დარწმუნებული არიან თბილისში, მის მფლობელებს გაუხსნის გზას ევროპისკენ.

ამას გარდა, მიაჩნია ბატონ იმნაიშვილს, „რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე იზრდება სირთულეები მოსკოვის უცნაური გადაწყვეტილების გამო, დაიწყოს საკონტროლო-გამტარი პუნქტის და სასაზღვრო გადასასვლელების რეკონსტრუქცია საკურორტო სეზონის წინ, რამაც არ შეიძლება გაღიზიანება არ გამოიწვიოს აფხაზებში“. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებანი შეიძლება შეეცადონ წარმოადგინონ საქმე ისე, თითქოს ისინი იღებენ „ნეიტრალურ დოკუმენტებს“ არა საქართველოსგან, არამედ ევროკავშირისგან და ამ შემთხვევაში შეძლებენ შეინარჩუნონ თავიანთი სახე, დაიცვან თავი ბრალდებებისგან „ქართული პასპორტების“ მიღებასთან დაკავშირებით.

Коммерсантъ

# ყველაფერს, რაც ბრწყინავს, ჯართში ვაბარებთ

**ორი კვირის წინათ საქართველოს სოფლის 75 წლის მცხოვრები ჰაიასტან შაქარიანი ერთ საათში სახელგანთქმული გახდა: ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ გამოაქვეყნა ინფორმაცია ქალზე, რომელმაც სპილენძის ჯართის ძებნის პროცესში დააზიანა ნიჩბით მავთული, რითაც საქართველოს და მასთან ერთად სომხეთსაც წაართვა ინტერნეტით სარგებლობით საშუალება. სინამდვილეში ამ ისტორიას აქვს კავშირი არა იმდენად ინტერნეტკავშირის დარღვევის საკითხთან, რამდენადაც მაღალი ტექნოლოგიისა და გლამორულ თემასთან, რაც ლითონის ჯართის შეგროვებასთან არის დაკავშირებული.**

გარეშე პირთათვის ნაკლებად ცნობილი ლითონის ჯართის სექტორი, რასაც დიდ რეკლამებს უწევენ საგზაო პლაკატები და რომლებიც ხელითაა დაწერილი და შეადგენს მხოლოდ ერთ სიტყვას „ჯართი“, ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სექტორი გახდა საქართველოს ეკონომიკაში. 2010 წელს რესპუბლიკის ექსპორტის მთავარ სტატიებს შორის ჯართმა მესამე ადგილი დაიკავა და ადვილად გაუსწრო ისეთ ცნობილ სექტორებს, როგორებიცაა მეღვინეობა და მინერალური წყლების წარმოება.

ჰაიასტან შაქარიანი უარყოფს, რომ დააზიანა ოპტობოჭკოვანი კაბელი სპილენძის ჯართის ძებნის დროს, მაგრამ იმ ადგილზე, სადაც იგი ცხოვრობს, ისევე როგორც საქართველოს სასოფლო ტერიტორიის დიდ ნაწილში, ისეთი საქმიანობა, როგორიცაა ლითონის ჯართის მოგროვება მოსახლეობის მიერ, ძნელია არ შენიშნო. სოფელ არმაზისკენ მიმავალ გზაზე, რაც 29 კილომეტრით არის დაშორებული თბილისიდან, არის ჯართის შეგროვების ორი პუნქტი. ერთ-ერთ მათგანში ერთ ტონა ლითონში გთავაზობენ 360 ლარს.

გამომუშავების სურვილით საქართველოს ათასობით მცხოვრები, რომლებსაც ხშირად თან აქვთ თვითნაკეთი ლითონსაძიებლები, ჩვეულებრივად ეძებენ მავთულებსა და ლითონს ძველი ქარხნების ნანგრევებში, ძველ ღუმელებს და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებს, რათა მიჰყიდონ ისინი უტილის შემგროვებლებს, იქნება ეს თბილისში, ქუთაისში თუ სხვა ქალაქებში.

ჰაიასტან შაქარიანი ეძებდა ლითონს, რომლისთვისაც ყველაზე მეტს იხდიან: სპილენძის ჯართისთვის შემგროვებლები ერთ კილოგრამში 11 ლარს იხდიან. ეს კი ნიშნავს, რომ ფირფიტები, რომელთა საშუალებითაც ხშირად მიუთითებენ მიწისქვეშ გაყვანილ ოპტობოჭკოვან კაბელებზე, თითქოსდა ამოთხარა ხანდაზმულმა ქალმა.

საქართველოში ჯართის ბაზრის განვითარების ლოკომოტივად კი იქცა მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბე. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობა 16 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენს, არაოფიციალური მონაცემებით კი რესპუბლიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტს, რაც 1,99 მილიონ კაცს შეადგენს, არა აქვს სამუშაო, ანდა დასაქმებულია არასრული სამუშაო დღით. ამ დროს საქართველოს ბევრი ხანდაზმული მოქალაქე, როგორიცაა, მაგალითად, ჰაიასტან შაქარიანი და, რომლებიც თავიანთი შვილებითა და ახლო ნათესავებით ერთად ცხოვრობენ, ცდილობს როგორმე შეავსოს თავიანთი ერთი ციცქნა სახელმწიფო პენსიები ან სხვა რაიმე შემოსავლები.

ჰაიასტან შაქარიანის შვილმა სერგომ ჩვენთან საუბარში აღიარა, რომ მისი მოხუცი დედა რეგულარულად აგროვებს ჯართს, რათა შეავსოს საოჯახო ბიუჯეტი. მაგრამ, მისი სიტყვებით, მას არ ეყოფოდა ძალა, რომ ამოეთხარა მიწაში ჩადებული კაბელი ან ამოეთხარა ორმო ნიჩბით.

პენსიონერს, რომელსაც საკაბელო კავშირგაბმულობის დაზიანებისთვის, 28 მარტს რომ მოხდა, ახლა ემუქრება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის გარკვეული თანხა, იგი ჯერჯერობით არ არის დაპატიმრებული, მაგრამ არც ჟურნალისტებთან საუბრობს. მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, როგორც ჩანს, არ გახდა დაშინება სხვებისთვის საქართველოში.

თბილისის მახლობლად ჯართის პუნქტის ერთ-ერთი მფლობელის სიტყვებით, რომელმაც გვითხრა, რომ თამაზი ჰქვია, ხალხი მოდის თითქმის ყველა მხრიდან, რეგიონებიდანაც კი, რათა ჩააბარონ აქ თავიანთი მონაპოვარი.

„ხალხი, ვისაც სახლში ორი ქოთანი აქვს, ერთს თავისთვის იტოვებს, რომ მასში ვახშამი მოიმზადოს, მეორე კი მოაქვს აქ, რომ მიიღოს კაპიკები პასკისა და კვერცხის საყიდლად სააღდგომოდ“, – გვიამბობს იგი, შემდეგ კი ახალგაზრდა კაცისგან იბარებს პლასტიკურ ჩანთას ჟანგიანი მილებით, რომლებსაც სპილენძის საფარი აქვს. ერთი წუთის შემდეგ ახალგაზრდა კაცი გარბის, მან ჯიბეში ჩაიდო 20 ლარზე ოდნავ მეტი.

მაგრამ ეს ბიზნესი ხელსაყრელია არა მხოლოდ ცალკეული პირებისთვის.

ქართველი ლითონის შემგროვებლები ჯართს აბარებენ დიდ სპეციალიზებულ პუნქტებში, რომლებიც ჩვეულებრივად ლითონს ჰყიდიან ფაბრიკებს თურქეთში, ინდოეთსა და ბანგლადეშში, ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის კათედრის გამგე გიორგი ღაღანიძე. ეს, თავის მხრივ, გვეხმარება გავზარდოთ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების მოცულობა და შევამციროთ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი.

ამ ვაჭრობის საფუძველს შეადგენს იმ ქარხნებისა და ფაბრიკების ნარჩენები, რომლებიც აგებული იყო საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში „ლითონის ანორმალური ოდენობით“, – აღნიშნავს ეკონომისტი.

რუსთავის ბევრი მცხოვრები – ეს არის ყოფილი მეტალურგიული ცენტრი საქართველოში, სადაც ქარხანა უკვე ჟანგდება – იხსენებს იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი ყოფილი მშენებელი შეეცადა გამოემუშავებინა სარეზერვო ელექტრომომარაგების სისტემის მავთულებზე. შეცდომით მან გადაჭრა დენის მავთული, რომელიც მთელ საწარმოს უზრუნველყოფდა.

ლითონის ჯართის შემგროვებელთა უმრავლესობას ამოძრავებს სასოწარკვეთილება, აღნიშნავს ლითონის ჯართის პუნქტის მფლობელი თამაზი. „ეს სიღარიბეში მცხოვრები ხალხია“,– ამბობს ის. მათ რომ სამუშაო ჰქონდეთ, ისინი ისხდებოდნენ კანტორაში და მიიღებდნენ ხელფასს, ვინ ისურვებს ტალახში ძრომიალს“.

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე




**იემენში ჯარები ხოცავენ ხალხს ქუჩებში, სირიაში კი ჯარისკაცები, პოლიციელები და ბოევიკები – ერთმანეთს**

სირიაში, თალბისში გაანადგურეს 3 ბოევიკი და დაჭრეს 15 პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე თავდასხმის შედეგად. რეჟიმის მოწინააღმდეგეების დემონსტრაციები მიმდინარეობს ხომსაში და დერააში. იემენის დედაქალაქში პრეზიდენტის ერთგულმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს მის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციას, დაიჭრა 30 კაცი.

**„ნასამ“ გამოაქვეყნა ათასობით უნიკალური ფოტო: უცნობი ვარსკვლავები, ასტეროიდები და ორი ათეული კომეტა**



ინფრაწითელმა ტელესკოპმა „ვაისმა“ 2009 წლიდან 2,7 მილიონი სურათი გადაიღო. მისი დახმარებით ასტრონომებმა აღმოაჩინეს 33 ათასი ახალი ასტეროიდი მარსსა და იუპიტერს შორის და 20 კომეტა. თავისი სილამაზით გამაოგნებელი ფერადი სურათები გამოქვეყნდა კოსმოსური სააგენტოს საიტზე.

**ჩინეთის სამხრეთს თავს დაატყდა წყალდიდობა, სეტყვა და გრიგალისებული ქარი: დაიღუპა 17, დაიჭრა 118 კაცი**



ერთ-ერთი პროვინციის ზოგ რაიონში ქარის სისწრაფე 45,5 მეტრს შეადგენდა წამში. ყველაზე მეტად დაზარალდნენ ქალაქები გუანჯოუ, ქოშანი, ჯაოცინი და დუნგუანი. ეკონომიკური ზარალი 55 მილიონ იუანად არის შეფასებული (8,5 მილიონი დოლარი).

**იაპონელმა ავტოამწით გადათელა სკოლაში მიმავალი ბავშვების ჯგუფი**

9-დან 11- წლამდე ასაკის ხუთი ბავშვი დაიღუპა. ავტოამწე შემოვარდა სამგზავრო ტროტუარზე იაპონიის მთავარ კუნძულ ხონსიუზე. ბავშვებში შეჭრის შემდეგ მანქანა საცხოვრებელი სახლის კედელს შეენარცხა. მძღოლი დაპატიმრებულია, ის შოკურ მდგომარეობაშია. ვარაუდობენ, რომ მამაკაცს საჭესთან ჩაეძინა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ ვნების შვიდეული

**ჭეშმარიტი** მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის ორშაბათიდან დიდი მარხვის ბოლო – აღდგომისწინა კვირა დაიწყო, რომელიც ვნების კვირის სახელითაა ცნობილი. ეს არის უმძიმესი მარხვის დღეები, როცა ქრისტიანები მთელი კვირის განმავლობაში, აღდგომამდე იესოს ვნებას, ჯვარცმასა და დასაფლავებას იგონებენ. ექვსივე გლოვის დღედ არის გამოცხადებული, რომელსაც მორწმუნეები მარხვასა და ლოცვაში ატარებენ. ტაძარში მღვდელმონაზვნებს შავი სამოსი აცვიათ. ვნების კვირის ყოველი დღე „დიდად“ იწოდება. ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს ტაძრებში სახარება სრულად იკითხება, რადგან ამ დღეებში იესო ქრისტე მოწაფეებთან და ხალხთან უკანასკნელად ქადაგებდა. ეკლესიებში მსხვერპლშეწირვა არ ხდება და მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია აღევლინება. შეიძლება ეკლესიას საზარძიმე ღვინო შესწირონ, თუმცა ის სპეციალური წესით უნდა იყოს დამზადებული, ან საეკლესიო მაღაზიებში შეძენილი, რადგან საზარძიმე ღვინო განსაკუთრებული ტექნოლოგიით მზადდება.

# დიდი მარხვის ბოლო კვირა დაიწყო

## სვეტიცხოველში მირონი იხარშება

**დიდ ორშაბათს** ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იგონებს, ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესოსადმი სიყვარულმა ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ამიტომ ადამიანებმა სინანულის გრძნობით უნდა გაატარონ დიდი ორშაბათი.

**დიდ სამშაბათს** იხსენიებენ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ. ამ დღეს მღვდელმსახურები მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებენ.

**დიდ ოთხშაბათს** იესოს გაცემის დღეა, როცა იუდამ, ერთ-ერთმა მოწაფეთაგანმა 30 ვერცხლად გაყიდა უფალი, ამიტომ ამ დღეს ვერცხლისმოყვარეობა და გამცემლობა იკიცხება. დიდ ოთხშაბათს განსაკუთრებით მძიმე მარხვაა. ფსალმუნებისა და დაუჯდომელების კითხვა წყდება.

ვნების კვირის **„დიდი ხუთშაბათი“** ზეთით ხსნილია. ეკლესია ამ დღეს იხსენებს იესოს მიერ მოწაფეთა ფეხით ბანვას, საიდუმლო სერობას, გეთსამანიის ბაღში ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას. უფალმა სწორედ ამ დღეს საიდუმლო სერობის ჟამს დაადგინა ზიარება. ამიტომ ყველა მორწმუნე ცდილობს, უზიარებელი არ დარჩეს. განსაკუთრებით პატარებსა და ორსულებს მოუწოდებენ მღვდელმსახურები ხუთშაბათს ეზიარონ, ვინაიდან მათ შაბათის ვრცელი ლოცვების გაძლება უჭირთ. ეკლესიების მღვდელმთავრებიც, იესოს მიბაძვით, ფეხთბანის რიტუალს ატარებენ და თორმეტ მღვდელმსახურს ფეხებს ბანენ.

„დიდი ხუთშაბათი“ ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა მირონის კურთხევა შეიძლება. წლეულს, 1995 წლის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით მცხეთაში მირონი იხარშება და სწორედ სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდება ლოცვა-კურთხევა. მირონს მეფეების კურთხევისას და ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისას გამოიყენებენ.

ხუთშაბათ საღამოს სრულდება „დიდი პარასკევის“ ცისკარი, ამ დროს „თორმეტი სახარება“, ანუ ოთხი სახარებიდან 12 ნაწყვეტი იკითხება,



სადაც ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომელიც ჯვარცმამდე შეემთხვა. სახარების კითხვისას მორწმუნეები ანთებული სანთლებით ხელში დგანან და სამრეკლოს ზარიც იმდენჯერ ჩამოჰკრავს, მერამდენე სახარებაც იკითხება. ძველი რწმენის თანახმად, სანთელი, რომელიც სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ სახლში და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალისგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ.

წელიწადის განმავლობაში ყველაზე მძიმე დღეა **დიდი პარასკევი**. „წითელ პარასკევს“ მაცხოვარმა საკუთარი თავი შესწირა კაცობრიობის ცოდვების გამოსახსნელად და იგი ჯვარზე აცვეს.



მღვდელმსახურება ამ დღეს მესიის ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. შუადღისას, ორ საათზე გარდამოხსნის სერობა აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში ამაღლებული სადგამი – „საფლავი“ იდგმება, რომელსაც ყვავილებით რთავენ. საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე საფლავში მყოფი მაცხოვარია გამოსახული. სამი დღის განმავლობაში მასზე დააბრძანებენ გარდამოხსნას, მორწმუნეთაგან ზოგიერთი მთელი დღე არაფერს ჭამს, ზოგი – კი, პურზე და წყალზეა.

„წითელ პარასკევს“ სააღდგომო კვერცხები მზის ჩასვლამდე ილებება. კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა. წითლად შეღებვა კი იმას გამოხატავს, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას სიცოცხლე მიენიჭა.

ვნების შვიდეულის **დიდ შაბათს** ღვთისმსახურება იესოს ხორციით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და ბოლოს მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ამიტომ დილით ადრე ეკლესიას გარდამოხსნას შემოატარებენ და შუა ტაძარში დაასვენებენ. სრულდება წირვა და ამის შემდეგ სრულიად საქრისტიანო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისთვის ემზადება.

ამ დღეს სავალდებულოა მკაცრი მარხვა. ქრისტიანი, რომელიც აღდგომის წირვაზე ზიარებისთვის ემზადება 8 საათის შემდეგ საჭმელს არ იღებს.

ქრისტიანები, რომლებიც აღდგომის შესახვედრად იერუსალიმის წმინდა მიწაზე ჩადიან, სულმოუთქმელად ელოდებიან ზეციდან ღვთიური ცეცხლის გადმოსვლას, რომლისგანაც წმინდა სანთლები ინთება. ეს ცეცხლი ყოველ წელიწადს გადმოდის ზეციდან. როგორც ამბობენ, თუკი ღვთიური ცეცხლი არ დაინთება, ეს ნიშანი იქნება კაცობრიობის აღსასრულის დადგომისა. შაბათ ღამეს 12 საათიდან მორწმუნეები ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავენ. ისინი ერთმანეთს ასე ულოცავენ: „ქრისტე აღსდგა! საპასუხოდ კი ისმის „ჭეშმარიტად აღსდგა!“ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ზეიმის დღეა, ხოლო ორშაბათს, მორწმუნეები საფლავებზე გადიან და გარდაცვლილთა სულებს მოიხსენიებენ. აღდგომის დღესასწაულის შემდეგ კვირას „ბრწყინვალე შვიდეული“ ეწოდება.

**ნია ფიფია**

◎ ჩანაწერები ახლო წარსულზე

## როგორ გამოიწვიეს გურიიდან კაზაკების დამსჯელი ჯარი კახელების მოთხოვნით

1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მთავარმართებელმა კაზაკთა ატამანის გენერალ გრიაზნოვის მეთაურობით გურიაში გაგზავნა დამსჯელი ჯარი და ეგზეკუცია ჩაეყანა იქაურ სოფლებში. ისედაც გაღატაკებულ გურიის მოსახლეობისთვის ეს ნამდვილი სტიქიური უბედურება იყო, რადგანაც გათავხედებული კაზაკები არ ერიდებოდნენ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას, რადგანაც ეს მათ ნებადართული ჰქონდათ ზემდგომი განკარგულებებით. სხვადასხვა კუთხის შეშინებული ქართველი მოსახლეობა, მათაც რომ ასეთივე განუკითხაობა არ დასტყომოდათ, თავს მაინცდამაინც არ იწუხებდნენ.

მხოლოდ ერთმა კახელმა მამულიშვილმა იოსებ იმედაშვილმა მიიღო რა მტკივნეულად მოძმეთა გაჭირვება, შეკრიბა ცხენოსანი შეიარაღებული მოზრდილი რაზმი და ჯიქურ შევიდა თბილისში, მთავარმართებლის სასახლეს გარს შემოერტყა და მთავარმართებელს მოთხოვნა გაუგზავნა გურიაში ეგზეკუციის მოხსნისა და კაზაკების გურიიდან გამოყვანის თაობაზე. მთავარმართებელმა შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა. რეალურად შეაფასა მდგომარეობა და დეპეშა აფრინა გურიაში გრიაზნოვთან, რომ დამსჯელი რაზმები გურიიდან გამოეყვანა. როცა კახელებმა დასტური მიიღეს კაზაკების გაყვანის შესახებ, დიდად გახარებულნი და კმაყოფილები მეთაურის წინაძღოლობით კახეთში დაბრუნდნენ.

## იოსებ იმედაშვილის ოჯახი სომხეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს

რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ შექმნილი სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკების შექმნამ კავკასიაში არცთუ მშვიდობიანობა დაამკვიდრა. იმ არეულ-დარეულ პერიოდში, სომხეთმა ჩვენს ქვეყანას ტერიტორიული პრეტენზიებით შემოუტია და ერთხანს წარმატებითაც. ნოე ჟორდანიამ ქართულ საზოგადოებას მოუწოდა რეგულარული ჯარის შექმნას შესდგომოდა, დასაწყისში – მოხალისეთა საშუალებით, ამასთან გამოეყენებინათ ძველი გენერალიტეტი და ოფიცერ-მეთაურთა შემადგენლობა მეფის რუსეთის ყოფილი შეიარაღებული ძალებიდან, უმთავრესად ქართველები და საქართველოს სხვა მცხოვრებლები. შემადგენლობით ასეთმა ჭრელმა ქართულმა მხედრობამ უკუაქცია საქართველოს მიწა-წყალზე შემოჭრილი მოწინააღმდეგე. ბრძოლების დროს განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს კახელმა მოხალისეებმა – იმედაშვილების ოჯახმა ცხრა ვაჟკაცის შემადგენლობით, რომლის წევრებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს მთავრობის ჯილდოებით, ერთი მათგანი – ოქროს, ხოლო ორი ვერცხლის მედლებით.

ეს ოჯახი იოსებ იმედაშვილის ოჯახი იყო.

**თეიმურაზ დარჩიაშვილი,**
მწერალთა კავშირის წევრი.

◎ გამოფენა

## ქართველი სტუდენტების უჩვეულო ნამუშევრები

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ კაფე ხელოვნების ნიმუში შეიძლება ყოფილიყო, ჭამა კი – ხელოვნება. ანდა ადამიანის ფორმის ნაგვის ყუთი თუ არსებობდა, ლიფტში ხელოვნურ მზეს თუ ვიხილავდი. სამხატვრო აკადემიის სახურავზე ქაღალდის, გუაშის და წებოსგან გაკეთებულ კატებს თუ ვნახავდი. ამ უცნაურ გარემოში მოხვედრა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. 15 აპრილს თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოფენა-ჩვენება „ინტერვენციები“ გაიხსნა, რომელიც ქართველი სტუდენტების მიერ წარმოდგენილი თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ვორქშოფს მიეძღვნა.

სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში, ასევე ეზოში, დერეფნებში, სახელოსნოებში, სახურავზე, ლიფტში თუ სხვადასხვა დანიშნულების სივრცეებში წარმოდგენილი იყო სამხატვრო აკადემიის მაგისტრატურის სტუდენტების ინსტალაციები, ობიექტები და პერფომანსები, რომელთა ნაწილი არატრადიციული მასალებისგან შესრულდა.

ვორქშოფს შვეიცარიელი ხელოვანები – ციურიხის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ფრანცისკა კოხი და ციურიხის მუზეუმის ტექნიკური მენეჯერი მონიკა შორი ხელმძღვანელობდნენ.

ვორქშოფი თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან შედგებოდა. პრეზენტაციებისა და ლექციების დროს სტუდენტები თანამედროვე ხელოვნების წამყვან ტენდენციებს გაეცნენ, იხილეს აქტუალური ხელოვნების უახლესი ვიზუალური მასალა.

ციურიხის მიგრის მუზეუმის ტექნიკურმა მენეჯერმა მონიკა შორიმ გამოფენის შესახებ საკუთარი შეხედულება გაგვიზიარა:

„კმაყოფილი ვარ ქართველი სტუდენტებით, კონცეფტუალური აზროვნების დიდი უნარი აქვთ. მიხარია, რომ გამოფენის მოწყობა ორ კვირაში მოახერხეს, რაც საკმაროდ მცირე დროა. მეტი შეხვედრა იყო საჭირო, რათა კარგად გაგვეაზრებინა, რა ცვლილებები მიმდინარეობს თანამედროვე ხელოვნებაში. ვისურვებდი მეტი დრო დამეთმო ამ სტუდენტებისთვის, გაკვირვებულები ვართ, რომ ამდენის გაკეთება მოახერხეს. იმდენად საინტერესოა ყველა ნამუშევარი, რომელიმე მათგანის გამოყოფა არ შემიძლია. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან“.

სტუდენტებმა ხელოვანთა დადებითი შეფასებები დაიმსახურეს. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მათი ნამუშევრები ხელოვნების მშვენიერი ქმნილებებია.

**ხატია ცარციძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ კალათბურთი

# არმიელთა პირველი სიმაღლე

**დასრულდა სუპერლიგის რეგულარული სეზონი, რომლის გამარჯვებულიც გათამაშების დებიუტანტი „არმია“ გახდა. ლევან მოსეშვილის გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბიჭებმა ჩინებული თამაშითა და შედეგით უპასუხეს თავდაცვის სამინისტროს მესვეურთა ამაგს.**

რაც შეეხება დასკვნით ტურს, ლიდერს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მეორე წრეში საგრძნობლად გაახალგაზრდავებულმა რუსთავის „ენერჯი ინვესტმა“, რაზეც პერიოდების ანგარიშებიც მეტყველებს 64:83 (15:18, 13:18, 18:21, 18:26ძ. დამარცხებულთაგან აღსანიშნავია აბაიშვილის აქტიურობა – 20 ქულა.





ერთადერთი შეხვედრა, რომელსაც სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით ინტრიგა ჰქონდა შერჩენილი, გახლდათ სტუდენტური დერბი სტუ – „სასოფლო“. ეს უკანასკნელნი წარმატების შემთხვევაში პლეი-ოფისკენ „ბათუმს“ გაუკვალავდნენ გზას, თუმცა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მაინც დამარცხდნენ – 66:72. დაძაბული ბრძოლის ბედი პოლიტექნიკოსთა სნაიპერის ჩიკვილაძის ჩაგდებულმა ორმა სამქულიანმა გადაწყვიტა.

**დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:** „ქუთაისი“ – თსუ 100:82, შსს – „სოხუმი“ 78:73, „სამედიცინო“ – „ბათუმი“ 80:72. ისვენებდა თბილისის „დინამო“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „არმია“ – 2, თსუ – 4, „ქუთაისი“ – 5, შსს – 6, „სოხუმი“ – 8, „სამედიცინო“ – 12, სტუ, „ენერჯი ინვესტი“ – 13-13, „ბათუმი“ – 14, „სასოფლო“ – 15, „დინამო“ – 18 წაგება.

**ასე რომ, მეოთხედფინალში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:** „არმია“ – „ენერჯი ინვესტი“, თსუ – სტუ, „ქუთაისი“ – „სამედიცინო“ და შსს – „სოხუმი“. პლეი-ოფები 2 მოგებამდე გაგრძელდება და 3,5 და, საჭიროების შემთხვევაში, 7 მაისს გაიმართება, ხოლო მანამდე, 29 აპრილს ქუთაისი ყველა ვარსკვლავთა ტრადიციულ შოუს უმასპინძლებს.

**გიორგი შოთაძე**

◎ ძალოსნობა

# სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო

**უკვე გაუწყეთ, რომ ევროპელმა ძალოსნებმა ყაზანში მოიყარეს თავი, სადაც წონითი კატეგორიების მიხედვით სამივე სინჯის მედლები გაითამაშეს. ჯილდოებისთვის პაექრობაში საქართველოდან მხოლოდ ორი ათლეტი (გია მაჭავარიანი და ირაკლი თურმანიძე) მონაწილეობდა. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ მნიშვნელოვან ტურნირზე სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**



გია მაჭავარიანი 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალებს. მან ექვსიდან 4 ცდა წარმატებით გამოიყენა: აიტაცა 183 კილო, აკრა 217 კილო და ორჭიდში 400 კილო მოაგროვა. ამ წონებმა მას ორი მცირე და ერთი დიდი ვერცხლის მედალი მოუტანა. სამი ოქრო წილად ხვდა რუს ჰაჯიმურად აკაევს: 195+230=425. ორჭიდში მესამე ადგილზე პოლონელი ბართლომეი ბრონკი (180+214=394ძ გავიდა.

მძიმე წონაში ირაკლი თურმანიძემ 188 კილოგრამი აიტაცა, რაც საკმარისი გამოდგა ამ მოძრაობაში მცირე ბრინჯაოს მედლისთვის. ირაკლიმ 218-კილოიანი შტანგა აკრა, ორჭიდში 406 კილოგრამი მოაგროვა და მე-6 ადგილზე გავიდა. ჩემპიონობა 419 კილოგრამით (192+227ძ რუსმა დიმიტრი ლარიკოვმა მოიპოვა. გამარჯვებულს შვიდი კილოთი ჩამორჩა ( 195+217ძ უკრაინელი იჰორ შემეჩკო. 410 კილოთი (184+226ძ მესამე ადგილი ჩეხ ირჟი ორშალს ხვდა.

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXX ტური.** „ზესტაფონი“ – „ცხინვალი“ 2:0 (გელაშვილი, წინამძღვრიშვილიძ, „დინამო“ – „ოლიმპი“ 2:0 (რობერტინიო, კოშკაძეძ, „ვიტ ჯორჯია“ – „კოლხეთი“ 0:1, „სიონი“ – „სამტრედია“ 5:0, „ტორპედო“ – „ბაია“ 2:0.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ზესტაფონი“ – 63, „ოლიმპი“ – 57, „დინამო“ – 53 ქულა (28 თამაშიდანძ.

**დღეს გაიმართება გამოტოვებული მატჩი** „დინამო“ – „ბაია“, აგრეთვე სათასო ნახევარფინალები „ზესტაფონი“ – „ოლიმპი“ და „გაგრა“ – „ვიტ ჯორჯია“.

* * *

**იტალია.** „მილანი“ – „სამპდორია“ 3:0, „ნაპოლი“ – „უდინეზე“ 1:2, „პარმა“ – „ინტერი“ 2:0.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „ბარსელონა“ 1:1, „ალმერია“ – „ვალენსია“ 0:3, „ხეტაფე“ – „სევილია“ 1:0.

**ინგლისი.** „არსენალი“ – „ლივერპული“ 1:1, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ჩელსი“ 1:3.

**თასის ნახევარფინალი.** „სიტი“ – „მანჩესტერი“ 1:0, „სტოკი“ – „ბოლტონი“ 5:0.

**გერმანია.** „ბორუსია“ – „ფრაიბურგი“ 3:0, „ბაიერნი“ – „ლევერკუზენი“ 5:1, „ვერდერი“ – „შალკე“ 1:1.

**საფრანგეთი.** „ლილი“ – „ბორდო“ 1:1, „მონპელიე“ – „მარსელი“ 1:2, „პსჟ“ – „ლიონი“ 1:0.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაგბი

# „ლელო“ და „აია“ დაწინაურდნენ

**გასულ უქმეებზე მორაგბეთა საქართველოს ჩემპიონატის მე-2 ტურის მატჩები გაიმართა. ყველაზე საინტერესო, ცხადია, ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის – „ლოკომოტივისა“ და „ლელოს“ დაპირისპირება იყო. რკინიგზელებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 19:27 დამარცხდნენ. ასევე, მეორე გამარჯვება იზეიმა ქუთაისის „აიამ“, რომელმაც სტუმრად „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე „აკადემიას“ სძლია 21:3.**



დაძაბული გამოდგა „არმიისა“ და „ხარების“ შეხვედრა, არადა, მატჩის დასაწყისი შეიარაღებული ძალების გუნდს იოლ გამარჯვებას უქადდა: არმიელებმა პირველ 30 წუთში 23 ქულა აართვეს მოწინააღმდეგეს და საქმე მომთავრებულად ჩათვალეს. რუსთაველებმა კი სწორედ ამის შემდეგ გამოიღეს ხელი და 17 ქულამდე ავიდნენ, თუმცა მეტი ვეღარ შეძლეს და საბოლოოდ 17:23 დათმეს პაექრობა. მეორე მარცხი იწვნიეს „ყოჩებმაც“, ამიჯერად „არმაზს“ ვერ გაუმკლავდნენ – 17:33.

**სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ:** „აია“ (+53ძ, „ლელო“ (+32ძ – 4-4, „ლოკომოტივი“ (+2ძ, „არმია“ (-4ძ, „არმაზი“ (-8ძ, „აკადემია“ (-14ძ, – 2-2, „ყოჩები“ – (-20ძ, „ხარები“ (-41ძ – 0 ქულა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ „ფორმულა-1“

# ჰემილტონის ჩინეთი

**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატზე ახალი სეზონის დასაწყისი ბაჰრეინიდან აღზევებული პოლიტიკური არეულობის გამო აღმოსავლეთში რომ გადაიტანეს, პირველ ორ ეტაპზე ავსტრალიასა და მალაიზიაში თუ „რედ ბულის“ პილო-**



**ტმა სებასტიან ფეტელმა იმარჯვა, მესამე ეტაპზე „ჩინეთის გრან-პრი“ უკვე „მაკლარენის“ მრბოლმა ლუისი ჰემილტონმა გამოაჩინა „ბრჭყალები“.** ის პირველი მივიდა 305,066 კილომეტრიან ტრასის ფინიშთან, მეორე ფეტელი იყო, მესამე კი – მისი თანაგუნდელი მარკ უებერი.

სამი ტურის შემდეგ ფეტელმა კვლავ შეინარჩუნა ლიდერობა 68 ქულით, მეორეზეა ჰემილტონი – 47 ქულით, მესამე კი ჯენსონ ბატონია „მაკლარენიდან“ – 38 ქულით.

◎ ინტერნეტიდან

## გადაიწერა ლონდონის მარათონის რეკორდი

**კარგი ამინდი დაადგა ლონდონის ტრადიციულ მძლეოსნურ მარათონს, ყველაზე პრესტიჟულად რომ არის აღიარებული პლანეტის 42-კილომეტრიან დისტანციაზე.**




ფინიშთან 2 საათის, 4 წუთისა და 40 წამის შემდეგ პირველი მივიდა კენიელი ემანუელ მუტაი. ადგილობრივი კომენტატორების განცხადებით, ეს არა მხოლოდ საუკეთესო შედეგია ლონდონის მარათონის ისტორიაში, არამედ მეოთხე შედეგიც ამ შეჯიბრების ისტორიაში. წინა რეკორდი დაამყარა 2009 წელს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კენიელმა სემი ვანჯირმა.

მეორე და მესამე ადგილებზეც კენიელები მარტინ დელი და პატრიკ მაკაუ არიან.

ქალთა შორის საუკეთესო იყო 29 წლის კენიელი მერი კეიტანი – 2 საათი, 19 წუთი და 19 წამი. ესეც მეოთხე შედეგია ქალთა მარათონის ისტორიაში, მეორე კი იყო რუსეთელი ლილია ოზუხოვა, მან რუსეთის რეკორდიც დაამყარა – 2:30:15.

## რივალდოს ფული „მოუტეხეს“

**ბრაზილიელ ფეხბურთელს რივალდოს, უზბეკურ კლუბ „ბუნედკორში“ რომ თამაშობდა, არ გადაუხადეს კონტრაქტით კუთვნილი ფულის დიდი ნაწილი, როგორც მან პრესას განუცხადა, დააკლეს 16 მილიონი ევრო.**



თავის პრეტენზია რივალდომ განაცხადა შვეიცარიაში დარეგისტრირებული კომპანიის Zeromax მიმართ, ის კი „ბუნედკორის“ სპონსორი იყო.

2010 წელს კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, თუმცა რივალდო მაინც ფიქრობს ფულის ნაწილის მიღებას.

რივალდომ უზბეკურ კლუბში თამაში 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო და პირველ წელს დაახლოებით 8 მილიონი ევრო გამოიმუშავა. სწორედ მაშინ, როდესაც „ბუნედკორს“ ფული არ აკლდა, იქ მწვრთნელად ჯერ ბრაზილიელი ზიკო მუშაობდა, შემდეგ კი ლუის ფელიპე სკოლარი.

როგორც რივალდომ განაცხადა, 2009 წლიდან მას შეუწყვიტეს ფულის გადახდა – უმტკიცებდნენ, რომ ეს დროებითი სირთულე იყო. ისე რომ, ფეხბურთელი ზოგჯერ კლუბის სასარგებლოდ თავის ფულსაც კი ხარჯავდა.

ბოლოს რივალდომ უზბეკეთი მიატოვა და ისევ ბრაზილიაში დაბრუნდა. უზბეკური გუნდი დატოვა სკოლარიმაც.

## კიბოსთან საბრძოლველად გაშიშვლდა

**რუსული წარმოშობის ირინა შეიკი, პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელის კრიშტიანუ რონალდუს სატრფოდ რომ მიიჩნევენ, გაშიშვლდა კანის კიბოსთან მებრძოლი საქველმოქმედო აქციისა და მარკ ჯეიკობსის ფეხბურთის მაისურების მხარდასაჭერად.**




„ჩემთვის დიდი პატივია ამ აქციაში მონაწილეობა და ისეთ დიდებულ ფოტოგრაფთან მუშაობა, როგორიც ბრაიან ბოუენ სმიტია“, – განაცხადა ლამაზმანმა.

თავის ხაზი ჯეიკობსმა 2006 წელს გაუშვა ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან ერთად. ამ აქციაში ილებდნენ ისეთ ვარსკვლავებსაც, როგორნიც არიან ვიქტორია ბექჰემი, ჰაიდი კლუმი, მილა იოვოვიჩი, ჯულიანა მური და სხვები. შიშველი ლამაზმანების სურათებიანი მაისურების გაყიდვით შემოსული თანხა გადაეცემა კანის კიბოსთან მებრძოლ საზოგადოებას, თითო მაისურის ფასი 35 დოლარია.

გაშიშვლებული ირინა შეიკი მკითხველებმა უკვე ნახეს ჟურნალის GQ ნოემბრის ნომერში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ჩვენ ერთი სახლი გვაქვს...

# ირაკლი ქარჩავამ დოჩანაშვილის ერთ წიგნში 200 ლარი გადაიხადა





საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით გასულ შაბათ-კვირას ძველ თბილისში, შარდენზე გაიმართა საქველმოქმედო აქცია – „ჩვენ ერთი სახლი გვაქვს“, რომელიც ბავშვთა სახლებში მცხოვრებ მოზარდებს მიეძღვნა.

უამრავი ხალხი მოვიდა შარდენზე, სახელდახელო სცენაზე გამოდიოდნენ ცნობილი მომღერლები, თბილისის სკოლების მოსწავლეები, სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები. თბილისის მოსახლეობა სიამოვნებით ილებდა მონაწილეობას აუქციონში პირადი ნივთების გასაყიდად, რომ მათში აღებული თანხა ბავშვთა სახლებისთვის ჩაერიცხათ.

აუქციონზე გამოტანილი იყო ცნობილი ქართველი მწერლის გურამ დოჩანაშვილის წიგნები მწერლის ავტოგრაფით, რომლებსაც უამრავი მყიდველი ჰყავდა. თუმცა ყველა გააკვირვა ერთმა ახალგაზრდა კაცმა ირაკლი ქარჩავამ, რომელმაც გურამ დოჩანაშვილის ახლახან გამოსულ მოგონებათა წიგნში – „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, 200 ლარი გადაიხადა, და, ცხადია, ბავშვთა სახლებს ჩაურიცხა. ასეა, ჩვენ ხომ მართლაც ერთი სახლი გვაქვს.

ელგუჯა ნადარეიშვილი
ავტორის ფოტო.

◉ დედაქალაქი

# რიყემ ისტორიული სახე რომ არ დაკარგოს

**„ახალი მემარჯვენეები“ მიიჩნევენ, რომ ქალაქის განაშენიანება და მასშტაბური პროექტების განხორციელება, განსაკუთრებით დედაქალაქის ძველ უბნებში, ხელისუფლების ვიწრო წრის წარმომადგენელთა ნება-სურვილით არ უნდა ხდებოდეს.**

როგორც „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა რიყეზე ასაშენებელი კომპლექსის საკითხი პროფესიონალური განხილვების გარეშე წყდება.

– ხშირ შემთხვევაში, დედაქალაქში ხორციელდება პროექტები, რომლებიც ქალაქის არქიტექტურულ სახეს არღვევენ. ამის გამო თბილისი, როგორც ქალაქის ისტორიული ნაწილი, კარგავს თავის უნიკალურობას, – აცხადებს საგანელიძე.

მისი თქმით, ასე თვითნებობდნენ ჰიტლერი და სტალინი, რომლებიც ქალაქის არქიტექტურაში ერეოდნენ, რის გამოც გერმანიაში გაჩნდა ჰიტლერის ნება-სურვილით დაპროექტებული შენობები, ხოლო საბჭოთა კავშირში – ე.წ. სტალინის სახლები.

„ახალი მემარჯვენეები“ ზაალ სამადაშვილს მიმართავენ და მოითხოვენ, რათა საკრებულოს თავმჯდომარემ რიყის განაშენიანების საკითხზე ფართო განხილვა მოაწყოს. დავით საგანელიძის განმარტებით, განხილვაში ურბანისტები და დაინტერესებული საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას, სადაც გაირკვევა, რა პროექტი ხორციელდება რიყეზე, ვინ არის ავტორი, რა ჯდება აღნიშნულის განხორციელება, რომელი ბიუჯეტიდან ხდება თანხების ხარჯვა.

◉ დიდი მხატვარი

# ფერთა მესაიდუმლე

**ქართველი ფერმწერის, გრაფიკოსის, თეატრისა და კინოს მხატვრის ელენე ახვლედიანის დაბადებიდან 110 წელი შესრულდა. ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანი 1901წლის 18 აპრილს თელავში დაიბადა.**

**ახვლედიანი იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1922 წელს სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იყო გ. გაბაშვილის მოწაფე. იმავე წელს, როგორც აკადემიის სტიპენდიატი, საზღვარგარეთ მიავლინეს და სწავლა გააგრძელა პარიზში, კოლაროსის აკადემიაში. 1927 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ახვლედიანის მკაფიო ინდივიდუალურობა და თვითმყოფადობა მხატვრის ყველა ჟანრში გამოვლინდა. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ქართული პეიზაჟური მხატვრობის განვითარებაში. ხატავდა საქართველოს ბუნების სურათებს, ქალაქის პეიზაჟებს, რომლებიც გამოირჩევა ემოციურობით, რომანტიკულობით, მდიდარი ფერადოვნებით, ზოგჯერ – ხაზგასმული დეკორატიულობით, კომპოზიციის აგების სიმახვილით, ყოველთვის საგრძნობია განწყობილება – ზოგჯერ ხალისიანი და სადღესასწაულო, ზოგჯერ – სევდიანი, ზოგჯერ დრამატულიც.**



**განსაკუთრებული სიყვარულითა და ინტიმური გრძნობით არის შესრულებული თბილისის, სიღნაღისა და თელავის ძველი უბნებისადმი მიძღვნილი პეიზაჟები. მისი მნიშვნელოვანი ფერწერული ნამუშევრებია: „ძველი თბილისი“ (1924, კერძო კუთვნილება, თბილისი), „კახეთი-ზამთარი“ (1924, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), „ძველი თბილისი“ (1926, კერძო კუთვნილება, პარიზი), „პარიზის ერთ-ერთი კუთხე“ (1926, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), „თელავი“ (1927, კერძო კუთვნილება, თბილისი), „ალაზნის ველი“ (1954), „იმერეთი“ (1956, ორივე საქართველოს სურათების გალერეა, თბილისი), „შემოდგომა“ (1959, კერძო კუთვნილება, თბილისი) და სხვა.**

**ახვლედიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული სცენოგრაფიის განვითარებას. თეატრის მხატვრად მუშაობა 1928-იდან დაიწყო კ. მარჯანიშვილის თეატრში (ქუთაისი) და არ შეუწყვეტია მთელი სიცოცხლის განმავლობაში. გააფორმა 72 სპექტაკლი, როგორც თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების, ისე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის თეატრებში.**

**აღსანიშნავია ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1942-1943, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი), ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ (1932-1933, კ. მარჯანიშვილის თეატრი), ჯ. პუჩინის „ბოჰემა“ (1944-1945, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საოპერო სტუდია), ჯ. ვერდის „ბალ-მასკარადი“ (1955-1956, კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი) და სხვა. ახვლედიანი ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გრაფიკაშიც. მას ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და პოემების, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“, ჰ. ლონგფელოს „ჰაიავათას სიმღერის“, ვ. ჰიუგოს რომანის „კაცი, რომელიც იცინის“, დ. კასრაძის ზღაპრის „ქალ-პეპელას“ ილუსტრაციები. მის სახელს ატარებს თბილისის ბავშვთა სურათების გალერეა. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისძ 04; 38-40-65, 37-78-91 (საავარიოძ;
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩეროძ.
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზიძ; 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახურიძ; 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტიძ.
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზიძ; 43-81-78 (კანცელარიაძ.

**ყველა ზარი ხელსატაცად**

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღებიძ.
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზიძ.
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაციაძ; 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანაძ.
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილებაძ.
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარიაძ; 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახურიძ.
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურაძ.
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგეძ.
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დაიჯესტი

### ჩვეულებრივი გოგონებისგან თითქმის არაფრით განსხვავდება...



**მოხდენილი გოგონა, ფოტოზე თანატოლებს შუა თავდავიწყებით რომ ცეკვავს, ერთი შეხედვით მათგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ასე მხიარულად მროკავი ბავშვი სამშობიაროში კი არ დაიბადა, არამედ... რობოტების ტექნიკურ ლაბორატორიაში შეიქმნა.**

იაპონელმა ინჟინრებმა დიდი ხანია, ისწავლეს ადამიანის მსგავსი რობოტების შექმნა და წლიდან წლამდე თავიანთ ოსტატობას ხვეწენ. ახლა უკვე აღარავის უკვირს პლასტიკატისა და ლითონისგან დამზადებული დამლაგებელი და მზარეული. შარშან; წლის მიწურულს გამართულ ყოველწლიურ გამოფენაზე „Digital Convent Expo-2010“ მნახველები გაოცებულნი უძცერდნენ „HRP-4 ს მოდელის რობოტს.

შესახედად რობოტი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ნამდვილი გოგონასგან, ერთი კი იყო – კაბიდან ჩვეულებრივი ფეხები კი არა, არამედ... ლითონის საყრდენები მოუჩანდა. თუმცა, ამ საყრდენებზე შემდგარი რობოტი მაინც ისე ცეკვავდა, რომ დანარჩენი გოგონები ძლივს ყვებოდნენ ტემპში. ამასთან ერთად, რობოტი გულიანად მღეროდა მხიარულ იაპონურ სიმღერას.

### წმენდა ზნეობის საბაბით





**ცოტა ხნის წინათ, ჩრდილო კორეის ლიდერის კიმ ჩენ ირის ვაჟიშვილი, რიგითი კიმ ჩენ უნი უცბად გენერალ-პოლკოვნიკი გახდა, ცენტრალური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა დაიკავა, რის შემდეგ გენერლის კარიერა რეფორმებით დაიწყო.**

პირველივე საიდუმლო ცირკულარით მან ჩრდილოეთ კორეის ჯარში ჰომოსექსუალიზმის ამოძირკვა ბრძანა, რომელიც ამ ქვეყანაში ოფიციალურად არც არსებობს. შემოწმება, რომელიც ჩრდილოეთ კორეის შრომითი პარტიის პასუხისმგებელ მუშაკთან გასაუბრებასა და ექიმის შემოწმებას მოიცავს, განურჩევლად წოდებისა, ყველა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა – რიგითებმაც, მაიორებმაც, გენერლებმაც. თუ რამდენი „ცისფერი“ აღმოჩნდა ჩრდილოეთ კორეის ჯარში, უცნობია, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი დარწმუნებულია, რომ ასეთი იუზუიტური ხერხი თავად კიმ ჩენ ირმა მოიგონა, რათა გენერალიტეტის „მოგუდულად გაწმენდის“ საშუალება მისცემოდა, საიდანაც თავისი შვილიშვილისთვის ძალაუფლების გადაცემის მოწინააღმდეგეთა მოცილება უნდა.

ამ დროს კი... ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო დათანხმდა ჯარში მიიღოს პირები, ვინც ღიად აცხადებს თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ. გარდა ამისა, პენტაგონმა პირობა დადო, რომ ამიერიდან ჰომოსექსუალისტებსა და ლესბოსელებს ჯარიდან აღარ დაითხოვენ.

### ნეტავ ორლანდო რას ფიქრობს?



**„კარიბის ზღვის მეკობრის“ ორლანდო ბლუმის ფეხმძიმე მეუღლე პოდიუმის მიტოვებას... ბავშვის დაბადებამდე არ აპირებს. მეტიც: ქალის საცვლების ცნობილი ბრენდის „ვიქტორია სიქრეთსის“ „ანგელოზი“, 27 წლის მირანდა კერი თავისი მშობიარობის ფირზე აღბეჭდვასაც აპირებს. ცოტა ხნის წინათ იგი ახალი კოლექციისთვის „2011 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის“ გადაიღეს.**

მირანდა კერი მარტო ქალის საცვლებს კი არა, საკუთარი თავის დემონსტრირებასაც ახდენს. ბრიტანელმა ფოტოგრაფმა რასელ ჯეიმსმა მომავალი დედა სრულიად შიშველა გადაიღო – კარიბის ზღვის კუნძულ ნეკერზე ეს სესია წიგნისთვის „V 2“ ჩატარდა. ჯეიმსის თქმით, იგი წინააღმდეგი არ იქნება მომავალში მშობიარე მოდელის ფოტოები გადაიღოს, კერიმ კი წინადადებაზე დაფიქრების პირობა მისცა.

### ექიეთ ქალი!

**ფაინა რანევსკაია, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი სახელოვანი ვარსკვლავია, რომლის სახელს არც ერთ მამაკაცს არ უკავშირებენ. ამბობენ, რომ მას გარკვეული გრძნობა ჰქონდა მარშალ ფედორ ტოლბუხინისადმი, თუმცა თავად მსახიობს ამის თაობაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. „ვისაც კი ვუყვარდი, – ამბობდა იგი, – მე არ მომწონდა, ხოლო ვინც მიყვარდა, ჩემს მიმართ გულგრილი იყო. ნეტავ ვინმემ იცოდეს ჩემი მარტოობის ტკივილი! წყეულიმც იყოს ასეთი ნიჭი!“ თუმცა, ჭორი დადიოდა, თითქოს მისი პირადული დრამის მიზეზი ქალთა ტრფიალი იყო, კერძოდ მას ანა ახმატოვა და პავლა ვულფი უყვარდაო.**





ქალებისადმი ლტოლვას XX საუკუნის პირველი ნახევრის ჰოლივუდის მეგავარსკვლავს გრეტა გარბოსაც მიაწერდნენ, რომელსაც თითქოს რომანტიკული ურთიერთობები ჰქონდა მსახიობ ლუიზა ბრუქსთან და მწერალ მერსედეს დე აკოსტასთან. შესაძლოა, ჭორები არცთუ უსაფუძვლო იყო: გარბოს მრავალი რომანი ჰქონდა მამაკაცებთან, მაგრამ იგი არასდროს დაქორწინებულა. ერთხელ იგი მსახიობ ჯონ ჰილბერტს ცოლად გაყოლაზე დათანხმდა, მაგრამ... ქორწინების დღეს გაიპარა.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ვოლტერი ამბობდა, ქალს მხოლოდ ერთი საიდუმლოს შენახვა შეუძლია და ეს არის – ასაკი.

● ნაპოლეონი თავისივე გამოშვებულმა 5-ფრანკიანმა გადაარჩინა სიკვდილს, როდესაც ომებში მოკლულის ქვრივი და დედა დაესხნენ თავს და ხელში ჩაიგდეს მისი კორტეჟი, მაგრამ შურისმაძიებლებმა უკვე გამელოტებულ, დაბალ, ასაკოვან და თამბაქოსგან ზედა ტუჩგაყვითლებულ ნაპოლეონში 5-ფრანკიანზე გამოსახული ახალგაზრდა, ძლიერი იმპერატორი ვერ ამოიცნეს.

● ამ ცნობილი ტიურინგიელი ოჯახის მუსიკალური საგვარეულოს პირველ წარმომადგენელს ფლეიტა ერქვა. XII-XVIII საუკუნეებში ამ გვარის 55 წარმომადგენელი მოღვაწეობდა და მათ შორის ყველაზე ცნობილს ერქვა იოჰან სებასტიან ბახი.

● ამ საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული პიროვნების სახელის ბგერათა წყობა არაბულ ენაზე არტიკლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საბოლოოდ კი მისგან წარმოიშვა სახელი „ისკანდერი“ და ეს იყო ალექსანდრე მაკედონელი, ალ-ისკანდერ.

● პუშკინი ეკატერინა ვორონცოვას ნაჩუქარ ბეჭედს თილისმად მიიჩნევდა, არასდროს იხსნიდა და თავის წერილებსაც კი ბეჭდავდა.

● ავიცენა ნაშრომებს სპარსულად და არაბულად წერდა.

● მიქელანჯელოს ფრესკაზე „განკითხვის დღე“ გამოსახული ადამის ფიგურას სხეულზე უჩანს ჭიპი, რაც ეწინააღმდეგება ბიბლიას.

● ლეონარდო და ვინჩი საფრანგეთშია დასაფლავებული.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**იყიდება, ქირავდება!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6672 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3998 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7179 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9144 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +14 |
| ბათუმი. | +9 – +13 |
| ზუგდიდი. | +8 – +15 |
| თელავი. | +10 – +15 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## კადრი



## ანეკდოტები

ქალური მეგობრობა – ეს არის ის, როდესაც შეამჩნევ, რომ დაქალმა წონაში დაიკლო, მაგრამ მას ამაზე არაფერს არ ეტყვი.

* * *

წარმატებას აღწევს მხოლოდ ის, ვინც დროულად არ გააფრთხილეს, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია.



სამზარეულოდან ხმაურისა და ჭურჭლის მსხვრევის ხმა ისმის.

– ღმერთო ჩემო, რას აკეთებ მანდ, ძვირფასო? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– არაფერს, საყვარელო, უკვე ყველაფერი დამთავრებულია.

* * *

– როგორც ვატყობ, ეს ბიჭი მოგეწონა. ცოლად გინდა გაჰყვე ხომ? – ეუბნება დედა შვილს.

– რას ამბობ! აბსოლუტურად წმინდა განზრახვა მამოძრავებს: მინდა, რომ საწოლში ჩავუწვე.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24